


ეკონომიკური პროფილი



ქუთისის უნივერსიტეტი

ISSN 1512-3901 (ბეჭდ.)

UDC 33 სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
ე - 491

№12, 2013 წელი
მაისი

რეფერირება: Институт Научной Информации по Общественным Наукам
(Российская Академия Наук) _ www.rim.inion.ru

N O M E R S I A:

ეკონომიკური პოლიტიკა

ფინანსები

ანალიზი და აღრიცხვა

მენეჯმენტი, ტურიზმი

ზიზნეს-გარემო და ზიზნეს-ეთიკა

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი:

ე.მ.დ. სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურმეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **რევაზ კაკულია**

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ე.მ.დ. სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, **ნიკო ჩიხლაძე**

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

იაკობ მესხია

ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ავთანდილ სილაგაძე

ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

ევგენი ბარათაშვილი

რევაზ ბასარია

გივი გამსახურდია

რევაზ მანველიძე

ელგუჯა მექვაბიშვილი

გედევან ხელაია

გიორგი ლავთაძე

აკადემიური დოქტორები, ასოცირებული პროფესორები:

აკაკი ბაკურაძე

ლელა ბახტაძე

კახა გაბელაშვილი

ნაირა ვირსალაძე

გურამ უფლისაშვილი

ხათუნა შალამბერიძე

გოდერძი შანიძე

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები, პროფესორები:

ტიმო ლინკოლა (ფინეთი)

პეტრე მაშეგოვი (რუსეთი)

მილან მიკულასტიკი (ჩეხეთი)

სერგეი ლუკინი (ბელორუსი)

მარია ტურინანსკაია (უკრაინა)

დამფუძნებელი:

ქუთაისის უნივერსიტეტი რექტორი პროფ: **ლელა ქალბაქიანი**

4601, საქართველო, ქუთაისი, წერეთლის ქუჩა №13
ტელ: 0 431 24 23 73, 25 12 73.

www.unic.edu.ge;

info@unik.edu.ge, chixi@mail.ru

დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს „მგმ-პოლიგრაფის“ მიერ ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
ტელ.: 0 431 23 45 54;

ეკონომიკური პოლიტიკა

1. კახაბერ გაბელაშვილი

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ახალი ორიენტირები **(3)**

ფინანსები

2. ომარ მინდაძე

საბაჟო, საგადასახადო და აქციზურ საქონელზე მარკირების წესების დარღვევა, როგორც ეკონომიკური დანაშაული და მისი გამოძიების დაწყების საფუძველი **(8)**

3. ლელა ბახტაძე

საფინანსო სისტემის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში **(12)**

4. ნათელა ვაშაკიძე

დეფლაციის გავლენა საქართველოს საბანკო სექტორის საქმიანობაზე **(16)**

5. ლია ელიავა

დეფლაციის გავლენა საქართველოს საბანკო სექტორის საქმიანობაზე **(19)**

ანალიზი და აღრიცხვა

6. ნაირა ვირსალაძე

წარმოების საზღვრები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში და დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები მთლიან შიდა პროდუქტში **(22)**

7. მერაბ ბარათაშვილი

სამშენებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების მაჩვენებლები **(26)**

8. ნაირა ვირსალაძე, დალი ჩახვაშვილი

ინფლაციისა და სამომხმარებლო ფასების ცვლილების გავლენა მოსახლეობის შემოსავლებზე **(29)**

9. დეზდემონა მალაყელიძე

მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის პროექტირების პროცესში თანამშრომელთა მონაწილეობის ასპექტები **(33)**

მენეჯმენტი, ტურიზმი

10. ვაჟა გურაბანიძე

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი და მისი რეალიზაცია **(37)**

11. Нина Дрокина

Оценка уровня эффективности управления коммуникационной системой предприятий машиностроения **(41)**

12. გოდერძი შანიძე

სავაჭრო მენეჯმენტის სრულყოფის ღონისძიებები **(48)**

13. ნანა ლუხუტაშვილი, მაკა ლუხუტაშვილი

მსოფლიო სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ძირითადი ეტაპები და სასტუმროთა კლასიფიკაცია **(51)**

ზიზნეს-გარემო და ზიზნეს-ეთიკა

14. დალი სილაგაძე

ზიზნესგარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები **(55)**

15. აკაკი ბაკურაძე

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის წყაროს — ჯანდაცვის ინვესტირების საკითხისათვის **(58)**

16. ციციხოველიძე დავითი

გლობალური საინფორმაციო სივრცის გეოგრაფიული ასპექტები **(68)**

ბახაბერ ბაბულაშვილი

ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ახალი ორიენტირები

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის 2013-2017 წლების განხორციელების მიზანშეწონილი ღონისძიებები

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა დაადასტურა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, განსაკუთრებით ეკონომიკაში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ახალ ხელისუფლებას გათვალისწინებული აქვს მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვა, რაც ნიშნავს ყოფილი ხელისუფლების სახელმწიფო და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ორიენტირების შენარჩუნებას, განმტკიცებას და განვითარებას. კერძოდ, მომავალშიც ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნება საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებს, მაქსიმალური ძალისხმევა იქნება მიმართული უმუშევრობისა და სიღარიბის დასაძლევად, განვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი, დაცული იქნება კერძო საკუთრება და დასაქმებულთა შრომითი უფლებები და ა.შ.

წინამდებარე სტატიის ძირითადი მიზანია საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების რეტროსპექტული დინამიკის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე პერსპექტიული ორიენტირების პროგნოზული მახასიათებლების განსაზღვრა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის რესურსული უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაანალიზება.

სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის მიზანია ინფლაციის და უმუშევრობის დონის შეზღუდვა, ეკონომიკის ზრდისადმი მხარდაჭერა, კრიზისების თავიდან აცილება და ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა. როგორც წესი, ცალკეული ქვეყნების მაკროეკონომიკური პოლიტიკები განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რადგან მათი შინაარსი უნდა გამომდინარეობდეს თითოეულ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან. იმ ქვეყანაში, სადაც ადგილი აქვს ეკონომიკურ ვარდნას, გამოიყენებენ მასტიმულირებელ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, რათა უზრუნველყონ ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება, ხოლო იმ ქვეყანაში, სადაც გამოკვეთილია ზრდის მაღალი ტემპი, სახელმწიფო გამოიყენებს შემზღუდავ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, რათა თავიდან აიცილოს ინფლაციის საფრთხეები.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განსხვავებენ აქტიურ და პასიურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. პირველად აქტიური მაკროეკონომიკურ პოლიტიკის გატარების აუცილებლობა დასაბუთებულ იქნა კეინზიანურ თეორიაში, რომელიც საბაზრო მექანიზმს არასრულყოფილად მიიჩნევდა. აქტიური პოლიტიკა იგივე სახელმწიფო პოლიტიკაა, რომელიც მიმართულია საბაზრო ეკონომიკის სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად. ამ შემთხვევაში საბიუჯეტო საგადასახადო რეგულირებას ენიჭება უპირატესი როლი, ხოლო საკრედიტო პოლიტიკა უნდა დაექვემდებაროს საბიუჯეტო ცვლილებებს და უზრუნველყოს სტაბილური საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნება. რაც შეეხება პასიურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, როგორც ნეოკლასიკოსები, ასევე მონეტარისტები თვლიან, რომ თავისუფალ ფასწარმოქმნაზე დაფუძნებული ეკონომიკას თავად შეუძლია თვითრეგულირება, ამიტომაა საჭიროა პასიური პოლიტიკის გატარება, რომლის დროსაც სახელმწიფო არ ერევა თვითრეგულირების მექანიზმში.

ცნობილია, რომ მაკროეკონომიკური განვითარების ყველაზე სინთეზურ, აგრეგირებულ ინდიკატორებს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ინფლაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და უმუშევრობის დონე. ამ მაჩვენებლების რეტროსპექტული ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში ზოგიერთი მათგანი იზრდებოდა არათანაბარი ტემპებით (ცხრ. 1).

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა (2004-2012 წწ)*

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მშპ მიმდინარე ფასებში (მლრდ ლარი)	9,9	11,6	13,7	16,9	19,1	17,9	20,7	24,3	26,1
მშპ შესადარ ფასებში (მლრდ ლარი)	9,0	9,9	10,8	12,2	12,5	12,1	12,7	13,7	14,5
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	5,9	9,6	9,4	12,3	2,3	-3,8	6,3	7,2	6,1
მშპ ერთ სულზე მიმდინარე ფასებში (ლარი)	105,9	109,6	109,4	3866,9	4352,9	4101,3	4675,3	5447,1	5811,7
ინფლაცია (%)	103,6	110,6	114,5	109,2	109,2	110,0	107,1	108,5	99,1
უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	499,1	449,8	1190,4	2014,8	1564,0	658,4	814,5	1117,2	865,2
უმუშევრობის დონე (%)	12,6	13,8	13,6	13,3	16,5	16,9	16,3	15,1	-

* ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში მთლიანი შიგა პროდუქტის საშუალოწლიური ზრდა 5 პროცენტს აღემატებოდა, მაქსიმუმს მან მიაღწია 2007 წელს (12,2 %), ხოლო მინუსოვან ვარდნას ჰქონდა ადგილი 2009 წელს (-3,8%), რაც გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს ომისა და გლობალური კრიზისის გავლენით. მიუხედავად იმისა, რომ მშპ-ის ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო, მან არსებითი ხასიათის პოზიტიური გავლენა მაინც ვერ მოახდინა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ რეალურ ეკონომიკურ განვითარებას არ ჰქონდა ადგილი. ამაზე მკაფიოდ მიუთითებს მუდმივ ფასებში (2003 წელთან შედარებით) მშპ-ს დინამიკა. მიმდინარე ფასებში ზრდის მაღალი მაჩვენებელი (აბსოლუტურ სიდიდეებში) გამოწვეული იყო საკმაოდ მაღალი ინფლაციით, რის გამოც ვერ მოხერხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის არსებითი გაუმჯობესება. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობა კატასტროფულად ჩამორჩებოდა არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოური ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს, მათ შორის, საქართველოს მეზობელ ქვეყნებსაც (რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი). მშპ-ს ზრდისა და ცხოვრების დონის ზრდის ტემპებს შორის შეუსაბამობა გამოიწვია აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მიერ აღებულ იქნა დიდი რაოდენობის კრედიტები, რომელთა პროცენტების და მათი ძირი ვალის დაფარვაზე წარმართა საკმაოდ დიდი მოცულობის საბიუჯეტო სახსრები.

საქართველოს მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე ძლიერ გავლენას ახდენდა ინფლაცია, რომელმაც 2011 წელს პიკს – 14,3% მიაღწია. უკანასკნელ წლებში ფასების მატება მსოფლიო მასშტაბით ფასების მატებით იყო გამოწვეული (ნავთობი, მარცვლეული და ა.შ.). საყურადღებოა, რომ საქართველოში სასურსათო ინფლაცია უფრო მაღალი, მერყევი და ხანგრძლივია, ვიდრე არასასურსათო ინფლაცია. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო სულ უფრო მეტი მოცულობის სურსათის იმპორტს ახდენს, შესაბამისად, ადგილი აქვს ინფლაციის იმპორტირებასაც. ინფლაციურ პროცესებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს აგრეთვე ფულადი გზავნილები, რომელიც საქართველოში ყოველწლიურად მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შემოდინება. თავისი ბუნებით ფულადი გზავნილები ინფლაციური ხასიათისაა. ინფლაციის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად მიჩნეულია აგრეთვე ფისკალური დეფიციტი და სახელმწიფოს საგარეო ვალის ზრდა.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების (2012 წლის ოქტომბერი) წინა და შემდგომ თვეებში საქართველოში დაფიქსირდა ინფლაციის შემცირება და იგი დეფლაციაში გადაიზარდა. ეს უკანასკნელი გამოწვეულია, ერთი მხრივ, ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, რომელსაც, როგორც წესი, ადგილი აქვს საარჩევნო პერიოდში. მეორე მხრივ, ინფლაციის შემცირების მიზეზი უნდა ვეძებოთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სამომხმარებლო კალათაში შეტანილ ცვლილებებში. როგორც ცნობილია,

2012 წელს ამ უკანასკნელში სურსათისა და არაალკოჰოლური სასმელების წილი მნიშვნელოვნად (9,8 %) შემცირდა, რომლებზეც ფასები საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. გარდა ამისა, სამომხმარებლო კალათაში შემცირდა იმ ხარჯების (კავშირგაბმულობა, ელექტროენერგია, აირი და სხვა) წილი, რომლებზეც ფასების კლება ფიქსირდება.

ქვეყანაში შემოსული ინვესტიციური მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფინანსური ხასიათის ოპერაციების განხორციელებას. 2004 წლიდან 2012 წლის ჩათვლით საქართველოში თითქმის 10 მლრდ. აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა.

2004-2007 წლებში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა მაღალი ტემპით ხასიათდებოდა, ხოლო შემდგომ დღემდე დინამიკამ არასტაბილური სახე მიიღო. ვინაიდან საქართველოში შიდა ინვესტიციები უმნიშვნელოა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. 2003 წლიდან ინვესტიციური ნაკადების შემცირება უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისით, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში შიდა პოლიტიკური დაძაბულობით, განსაკუთრებით ქვეყნის ტერიტორიების დიდი ნაწილის რუსეთის მიერ ოკუპირებით, რაც უცხოელი ინვესტორებისათვის მაღალი რისკის შემცველია. ამ ბოლო წლებში საქართველოში უცხოური ინვესტიციები შემოედინება აზიის ქვეყნებიდან, რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ინვესტიციები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვაზეა მიმართული.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა დასაქმების უზრუნველყოფა. გარდამავალ ეტაპზე საქართველოში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა უმუშევრობის მაღალი დონე შექმნა. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ბაზარზე არსებულ სამუშაოს არ შეესაბამება სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები. განათლების სისტემამ ვერ უზრუნველყო შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება. საყურადღებოა, რომ 2004 წლამდე საქართველოში უმუშევრობის დონე უფრო დაბალი იყო (დაახლოებით 12 %), ხოლო შემდგომ წლებში იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2009 წელს პიკურ მაჩვენებელს 16,9 პროცენტს მიაღწია. უკანასკნელ 2 წელიწადში ოფიციალური სტატისტიკით უმუშევრობის დონემ უმნიშვნელოდ დაიწია, თუმცა ფაქტობრივად იგი 2-4 - ჯერ უფრო მაღალია.

მართალია საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია, თუმცა უმუშევრობის დონეზე მან ვერ იქონია პოზიტიური გავლენა. საკმარისია ითქვას, რომ 2007 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ პიკს - 12,2 %-ს მიაღწია, მაგრამ უმუშევრობის დონემ შეადგინა 13,3 პროცენტი, ანუ დაახლოებით იმდენივე, რამდენიც იყო წინა წელს, როდესაც ეკონომიკური ზრდა 9,4 პროცენტს შეადგენდა. უმუშევრობის დონე საქართველოში გაცილებით მეტია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით (გამონაკლისია ესპანეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები). იგი გაცილებით უფრო მწვავე იქნებოდა, რომ ადგილი არ ჰქონდეს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის იმიგრაციას უცხოეთის ქვეყნებში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალ ეტაპზე საქართველოში მაკროეკონომიკური დინამიკა არასტაბილურობით ხასიათდებოდა და მისი ასეთი მდგომარეობა არ ასტიმულირებდა ეკონომიკის განვითარებას. როგორც ჩანს, საჭიროა მომავალში გარკვეული ტრანსფორმაციული ცვლილებების გატარება სახელმწიფოს მხრიდან, რათა მიღწეულ იქნას მდგრადობა მაკროეკონომიკურ განვითარებაში და მისი ორიენტირი მიმართულ იქნას ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისაკენ.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ახალი ორიენტირის ჩამოყალიბებას განაპირობებს სამთავრობო პროგრამის შემდეგი პოზიციები: საბაზრო ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად სისტემურ ტრანსფორმაციაში საკვანძო როლის სახელმწიფოსათვის მინიჭება; ქვეყნის ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება; სამართლიანი საბაზრო გარემოს შექმნა ხელმისაწვდომი მოქნილი და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და ა.შ.

უახლოეს მომავალში დიდი ამოცანებია დასახული ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის ზრდისთვის, რაც მიხნეულია მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების მთავარ მაკროეკონომიკურ ინდიკატორად. ამ მიზნით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა, რომელიც შესაძლებელი გახდება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და საქსპორტო პოტენციალის ზრდა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისადმი მაქსიმალური ხელის შეწყობა; ბაზრის გათავისუფლება მონოპოლიებისაგან; საგადასახადო შემოსავლების მიზნობრივი და გამჭვირვალე ხარჯვა პრიორიტეტულ დონისძიებებზე; სახელმწიფო ქონების გონივრული მართვა და პრივატიზება; ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდა.

მაკროეკონომიკური ორიენტირის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს სამთავრობო პროგრამის ისეთი მიმართულებების პრაქტიკული რეალიზაცია როგორცაა: ხელისუფლებასა და ბიზნეს შორის მკვეთრი ზღვრის გაწევა და მათი ფუნქციების რეალურად გამოჯვანა, ბიზნესის საქმიანობაში სახელმწიფო სექტორის გაწევის მინიმუმადე დაყვანა, კერძო სექტორისადმი სახელისუფლებო მხარდაჭერის ზრდა.

უახლოეს მომავალში საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული იქნება ეკონომიკის სტაბილური განვითარებისაკენ, რისთვისაც გათვალისწინებული შემდეგი პრიორიტეტების რეალიზაცია:

- საწყის ეტაპზე ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა, ხოლო მომდევნო ეტაპზე მისი მდგრადი და მაღალი ტემპებით ზრდა;
- ინფლაციის დონის ერთიან მანვენებლის შენარჩუნება;
- უმუშევრობის დონის შემცირება;
- საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება.

ცხრილი 2

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზები

	2013	2014	2015	2016
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	6.0	6.0	6.0	6.0
ნომინალური მშპ (მლნ. ლარი)	28863.1	32430.6	36095.2	40174.0
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3895.6	4377.1	4871.7	5422.2
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	3.0	5.0	5.0	5.0
მიმდინარე ანგარიში (პრაქტიკულად მშპ)	-10.8	-8.8	-7.0	-4.0

* წყარო: ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის, საქართველოს მთავრობა (საბოლოო ვარიანტი) თბ. 2013.

სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საგადასახადო პოლიტიკაში გათვალისწინებული ახალი მიდგომები. გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის დადგენა (იგი უკვე ამოქმედდა 2013 წელს), რომელიც არ იქნება საარსებო მინიმუმზე ნაკლები, მოწესრიგდება მოგების გადასახადში გამოქვეითების სისტემა, ახლებურად განისაზღვრება აქციზური საქონელის ნომენკლატურა და ძირითადად დაიბეგრება ფუფუნების საგნები, გაუქმდება ქონების გადასახადში აფასების სისტემა და შენარჩუნდება I პროცენტის განაკვეთი, საგადასახადო დაეების განხილვაში შემცირდება სახელმწიფოს დომინანტური როლი, შემცირდება ჯარიმების და საურავების მოცულობა.

მაკროეკონომიკური ორიენტირების ფორმირებაში დიდ ადგილს დაიკავებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით გათვალისწინებული დონისძიებათა კომპლექსი. გათვალისწინებულია შეიქმნას სტაბილური ინვესტიციური გარემო, ბიზნესი გათავისუფლება სახელისუფლებო ზეგავლენისაგან და

შეიქმნება საკუთრების დაცვის მყარი გარანტიები, გააქტიურდება მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, აშშ-სთან. ადგილობრივი ბაზარი დაცული იქნება უცხოური დემპინგური საქონლისაგან, გატარდება ღონისძიებები რუსეთის ბაზარზე ქართული აგროსამრეწველო პროდუქციის შეღწევის მიმართულებით.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მონეტარულ პოლიტიკას. ამ კუთხით მომავალში გათვალისწინებულია ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის გაზრდა და შესაბამისად დოლარიზაციის დონის შემცირება, აგრეთვე მონეტარული ხელისუფლების გათავისუფლება პოლიტიკური ზეწოლისაგან, კომერციულ ბანკებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრება, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს აგრეთვე ფისკალური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მომავალში მიჩნეულია არამიზნობრივი სუბიექტის ხარჯების გაუქმება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა და მიკროეკონომიკური პოლიტიკა ერთმანეთთან კაუზალურ დამოკიდებულებაში არიან, ისინი განსაზღვრავენ თითოეული მათგანის განვითარების ორიენტირებას. უახლოეს მომავალში მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და განვითარებაზე განსაკუთრებულ როლს ითამაშებს მიკროეკონომიკის, რეალური სექტორის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი როგორცაა აგროსამრეწველო კომპლექსი. სახელისუფლებო პროგრამის თანახმად მომავალში წინა პლანზე უნდა წამოიწიოს სოფლის მეურნეობის განვითარებამ. კერძოდ, გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად და ეფექტიანად გამოყენება, აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა და მისი საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით უკვე შეიქმნა მისი განვითარების 1 მილიარდიანი ფონდი, რომელიც აფინანსებს სოფლის მეურნეობის პროგრამებს, დაიწყო გლეხებზე (ფერმერებზე) აგროსესხების გაცემა, მათ დაურიგდათ სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერები მიწის დასამუშავებლად, ჰერბიციდების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად და სხვა სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა განსახორციელებლად. რეგიონებში შეიქმნა აგროსერვისები, საკონსულტაციო ცენტრები. შექმნილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გადამზადდა ტექნიკოსები და ა.შ. რაც უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად წინ წასწევს ქვეყნის აგროსამრეწველო სექტორს. ამავდროს მნიშვნელოვნად გაიზრდება საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებისას და რაც მთავარია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლებას მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ახალი ორიენტირები, რომელთა პრაქტიკაში განხორციელება უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, ინფლაციური პროცესების დარეგულირებას, საგარეო ვაჭრობის გადრეწვა-გამარტივებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და სხვა ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას, რომლებიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფენ მდგრადი, სტაბილური ეკონომიკური განვითარებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ინფლაცია საქართველოში - გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები. ეკონომიკური კვლევის ცენტრი, თბ., 201.
2. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი), საქართველოს მთავრობა, თბ., 2013.
3. სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული ერთიანი საქართველო“, თბ., 2012.

ომარ მიწაძე

იურიდიულ მაცნეებთან დოქტორი,
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საბაჟო, საგადასახადო და აქციზურ საქონელზე მარკირების წესების დარღვევა ხელყოფს მარკირების წესების დარღვევათა დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ფინანსები

საბაჟო, საგადასახადო და აქციზურ საქონელზე მარკირების წესების დარღვევა ხელყოფს და ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ ინტერესებს.

მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული დანაშაულის მიმართ პასუხისმგებლობის დაწესების მთავარი დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ის ზიანი, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსურ საქმიანობას მიაღწეს.

სამივე სახის დანაშაულთა ხელყოფის ობიექტია საქართველოს ეკონომიკა და ფინანსური საქმიანობა, სუბიექტური მხრივ ეს დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რომელსაც განახორციელებენ საქონლის დამამზადებლები, კერძოდ, სპეციალური სუბიექტები. სხვა შემთხვევაში მისი რეალიზატორი ან გადამზიდავი 14 წელს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი ან პირები.

აღნიშნული კატეგორიის საქმეების გამოძიების დაწყების საფუძველად უმეტეს შემთხვევაში გვევლინება მაკონტროლებელი ორგანოებიდან მოწოდებული ცნობა, ან ოპერატიული სამსახურის მიერ მოწოდებული ცნობა, ან უშუალოდ მათ მიერ გამოვლენილი დანაშაულის ნიშნები ეჭვიმტანილის დაკავებისა და მისი პირადი ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი და ამოღებული გადამალული საგანი და სხვა. ამასთან, თითოეული სახის დანაშაულის ნიშნების გამოვლინებისა და გამოძიების დაწყების საფუძველი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, საბაჟო წესების დანაშაულებრივი დარღვევისა და მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვის შესახებ დანაშაულის ნიშნების გამოვლენისა და გამოძიების დაწყებას, როგორც წესი, წინ უსწრებს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ოპერატიული სამსახურის მიერ ტვირთის დაკავება, მისი დათვალიერება ან ცნობაში მითითებული ობიექტის ჩხრეკა და საძიებო საგნების ამოღება, ან საბაჟო საზღვარზე გადამსვლელი ან იქედან შემომსვლელი პირების შემოწმება, მათი პირადი ჩხრეკა, ტრანსპორტის დათვალიერება, ამოღების ჩატარება და სხვა. გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე კი გამოძიების დაწყების საფუძველად, უპირატესად გვევლინება რევიზიისა და შემოწმების აქტები.

საბაჟო წესების დარღვევასა და მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვის ფაქტზე გამოძიება უმეტესწილად იწყება საბაჟო პუნქტებში შემოწმებისას გამოვლენილი მონაცემების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, როცა აღმოჩენილი დაკავებული და წარმოდგენილია მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონელი აქციზური მარკის გარეშე კომპეტენტურმა პირმა უნდა გაარკვიოს და დაადგინოს შემდეგი საკითხები:

- სად, როდის და რა გარემოებებში, რა რაოდენობის საქონელი იქნა აღმოჩენილი და ამოღებული?
- რა ინდივიდუალური ნიშნებით ხასიათდება, სადაა დამზადებული და კონკრეტულად ვისი, რომელი სახელმწიფოს ნაწარმია?
- რა მოცულობისა და ღირებულებისაა იგი?
- რა არის მისი საბაზრო და საბაჟო ღირებულება?

- ვინ არის მფლობელი?
- სად მოხდა მისი შექმნა?
- სად იყო იგი შენახული?
- სად და როდის მოხდა ამ საქონლის აღმოჩენა და ამოღება საქონლით დატვირთული ავტომანქანის ტრანსპორტირების დროს?
- სად და როგორ ჰქონდათ იგი შენახული?
- როდის და ვინ გამოიტანა იგი სარეალიზაციოდ?
- მოახდინეს თუ არა მისი რეალიზაცია, რამდენი და რა ღირებულების?

უფრო მრავალფეროვანია გარემოებები და დოკუმენტები შესამოწმებელი გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე მიღებულ მონაცემებთან დაკავშირებით. ასეთ დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს და დადგინდეს:

- კონკრეტულად რა სახის სასაქონლო ოპერაციებითა და რეალიზაციით მიღებული და ამონაგები თანხა არ იქნა შეტანილი დეკლარაციაში?
- სად, როდის, დროის რა მონაკვეთში და რა ფორმით უნდა მოეხდინა გადასახადის შეტანა და არ შეასრულა?
- რომელ სუბიექტს (ბუღალტერი, ინდემწარმე) ევალებოდა მისი შეტანა?
- სად და როდის იქნა ეს სადავო ორგანიზაცია რეგისტრირებული და რა არის მისი სარეგისტრაციო ნომერი და სხვა?

საჭიროა გაირკვეს მოცემულმა პასუხისმგებელმა პირმა რა ხერხებითა და საშუალებებით შეძლო გადასახადებისაგან თავის არიდება-წარმოდგენილი არ იქნა საგადასახადო დეკლარაცია თუ საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტები. წინასწარი შეცნობით განზრახ არასწორი მონაცემები იქნა შეტანილი საგადასახადო დეკლარაციაში თუ საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტებში. გადამხდელისაგან შემცირებული სახით იქნა გადარიცხული გადასახადი თანხა, თუ საერთოდ არ იქნა იგი შესაბამის ბანკში შეტანილი.

საჭიროა ასევე გაირკვეს სად და რა სახის დოკუმენტებში იქნა შეტანილი არასწორი მონაცემები და მოხდეს მისი ამოღება და მომარჯვება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესში გამოსაყენებლად და სხვა.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური სააქონლის, აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვის საქმეთა გამოძიების დროს მთავარი ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს ისეთ საორიენტაციო საკითხებსა და გარემოებების დადგენაზე, როგორიცაა:

- სად და ვის მიერაა დამზადებული მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური მარკის გარეშე გამოშვებული საქონელი?
- რა სახისა და რა დანიშნულებისაა გამოშვებული სადავო საქონელი?
- ვინ და სად შეიძინა იგი?
- ვინ არის მისი მესაკუთრე?
- საიდან და როგორ მოხდა მისი შემოტანა?
- სად და ვის ჰქონდა იგი შესაძენად მიზარებული?
- თუ ეს საქონელი იმპორტული ნაწარმია, როგორ მოხდა საბაჟო საზღვარზე მისი გადმოტანა და გადახდევინებული იქნა თუ არა მასზე შესაბამისი ბაჟი?
- რა შეადგენს ამ საქონლის ღირებულებას?
- ვინ მოახდინა ამ საქონლის შექმნა, შენახვა ან რეალიზაცია?
- სად, ვისთან და რისთვის მიჰქონდა მოცემული საქონელი?
- ამგვარი საქონლის რეალიზაციას ხომ არ ახდეს ინტენსიურად მოცემული დაკავებული პიროვნება?

- როგორ ხასიათდება საქონლის მეპატრონე და არის თუ არა ის ადრე შემჩნეული ასეთ ქმედებაში ორჯერ ან მეტჯერ?
- საქმეზე მოპოვებული მასალების მიხედვით სს კოდექსის რომელი მუხლის ან მუხლის ნაწილით უნდა მოხდეს ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია?

საბაჟო წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეების გამოძიების დროს მთავარი ყურადღება გადატანილ უნდა იქნეს საქმის სრული, ყოველმხრივი გამოკვლევისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოებების დადგენაზე, როგორცაა:

- რა მოცულობისა და ღირებულებისაა საბაჟო საზღვარზე გადატანილი ან გადმოტანილი საქონელი?
- როდის და როგორ მოხდა საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან მისი გადმოტანა?
- ხომ არ იქნა იგი ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად?
- ამგვარი საქონლის გადატანა ან გადმოტანა ხომ არ მოხდა რაიმე სახის ყალბი დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით?
- საბაჟო საზღვარზე ესეოდენ დიდი ოდენობით ნივთების ან საქონლის გადატან-გადმოტანა ხომ არ მოხდა დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით?
- საბაჟო საზღვარზე გადატანილი ან გადმოტანილი ეს ნივთები თავისი ღირებულებით ხომ არ მიეკუთვნება განსაკუთრებით დიდ ოდენობას?
- ხომ არ მოხდა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის, ან ნაკეთობის ჯვართის წესის დარღვევის გადატანა ან გადმოტანა?
- ხომ არ ჰქონდა ადგილი საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწალავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, ან იმ მასალისა და მოწყობილობის გადატან-გადმოტანას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად?
- ადგილი ხომ არ ჰქონდა კანონით გათვალისწინებულ საბაჟო წესების დარღვევის ჩადენას რომელიმე მაკვალიფიცირებელ გარემოებაში?
- ხომ არ იყო ეს დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი მოცემული პირის მიერ არაერთგზის?
- ხომ არ იყო იგი ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით?
- ხომ არ მოხდა ამ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა საბაჟო კონტროლის განმახორციელებელის მიმართ ძალადობის გამოყენებით?
- ხო არ იყო იგი ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ?
- დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ კვალის დაფარვის მიზნით რა ხერხები და საშუალებები იქნა გამოყენებული?
- საბაჟო წესების დარღვევა ხომ არ იყო გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობითა და სხვა გარემოებებით?

ზემოთჩამოთვლილი საკითხების განხილვა არც თუ იშვიათად უხდება სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების დროს, როცა ხდება საქმის არსებითი განხილვა და ასეთი მაგალითები უამრავია სასამართლო პრაქტიკაში, რომლის აქ ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს.

გადასახადისათვის თავის არიდების საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით აუცილებელია გამოძიების დაწყების პირველსავე ეტაპზე გამოკვლეული და დადგენილი იქნეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები და გარემოებები, როგორცაა:

- რა ვადები იყო დაწესებული გადასახადისათვის საგადასახადო კანონმდებლობით და მოცემულ

კონკრეტულ შემთხვევაში დროის რა მონაკვეთში მოხდა გადასახადისაგან თავის არიდება?

- სად, როდის და როგორ იქნა ჩადენილი მოცემული გამოსაძიებელი დანაშაულებრივი შემთხვევა?
- როდის იქნა დაარსებული მოცემული ორგანიზაცია და ვინ არის მისი დამფუძნებელი?
- ბოლოს როდის იქნა შემოწმებული ეს ორგანიზაცია საგადასახადო ინსპექციის მიერ და დროის რა მონაკვეთში?
- რა სახის საქმიანობას ეწეოდა ან ეწევა მოცემული ორგანიზაცია?
- გადასახადისათვის თავის არიდება ჩადენილი იყო საგადასახადო დეკლარაციის წარუდგენლობით, თუ მასში წინასწარი განძრახვით არასწორი მონაცემების შეტანით?
- გადასახადისათვის თავის არიდება ხომ არ იქნა ჩადენილი საბუღალტრო-საანგარიშო დოკუმენტებში არასწორი მონაცემების შეტანით?
- სრული ოდენობით იქნა თუ არა გადასახდელი თანხა ბიუჯეტში?
- რამდენად შემცირებული სახით იქნა შეტანილი ბიუჯეტში გადასახდელი თანხა?
- სად და რა სახის დოკუმენტებში იქნა შეტანილი საგადასახადო თანხის ოდენობა შემცირებული სახით?
- ადგილი ხომ არ ჰქონდა საშემოსავლო დოკუმენტებში მათ არასწორ აღრიცხვას?
- რა რაოდენობის თანხაა დარჩენილი გადასახდელი და არის თუ არა იგი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი და სსკ-ის რომელი მუხლის რომელი ნაწილით?
- ვის ევალებოდა მოცემული გადასახადის გადახდა, მისი შეტანა საგადასახადო ბიუჯეტში და კონკრეტულად ვინ არ შეასრულა იგი?
- ვისი ხელმოწერითაა შედგენილი საგადასახადო დეკლარაცია და მასში რამდენადაა შემცირებული გადასახადი?
- კონკრეტულად რა ხერხებითა და საშუალებებით მოხდა გადასახადებისაგან თავის არიდება?

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები და გარემოებები ამომწურავი არაა და მისი რაოდენობა ყოველ კონკრეტულ საბაჟო სახის დანაშაულთა გამოძიების დროს შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. ამ საკითხებისა და გარემოებების დადგენის საშუალებები თავიანთი იურიდიული ბუნებითა და ტაქტიკური თავისებურებებით მრავალფეროვანია. ვფიქრობთ, სტატიაში დასმული საკითხების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტვირთბრუნვის ეფექტიანად მართვას და ფისკალური შედეგების გაუმჯობესებას.

ლელა ბახტაძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საფინანსო სისტემის ფორმირებისა და განვითარების პრობლემები ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში

ფინანსები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯია ეფექტიანი საბანკო და საფინანსო სისტემების შექმნა. ფინანსური ინსტიტუტების და პირველ რიგში, ბანკების ამოცანაა შიდა რესურსების მობილიზაცია და მათი ეფექტიანი განაწილება. არსებული საწარმოების განვითარება, აგრეთვე ახალი საწარმოების შექმნა შეუძლებელი იქნება აუცილებელი კაპიტალის გარეშე. ამ პრობლემის გათვალისწინებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ საბანკო სექტორის რეფორმას. ეს ამოცანა საკმაოდ რთულია, რამდენადაც საწყის ეტაპზე ამ ქვეყნების უმრავლესობაში ფინანსური სფეროს განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არსებობს. მაშინაც კი, როცა ეს რეფორმები ტარდება საწყის ეტაპზევე აუცილებელია ახალი ბუღალტრული სტანდარტების შექმნა, სხვადასხვა აქტივების ეფექტიანობის შეფასების ნორმების დაწესება, კანონებისა და დადგენილებების მიღება საბანკო სისტემისა და საწარმოების გაკოტრების შესახებ, პერსონალის მომზადება, აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, ზარალის განაწილება. საბანკო პორტფელის სტრუქტურის გარდაქმნა, კერძოდ კი, ეფექტიანი საბანკო სისტემის შექმნა ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს.

ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებში საფინანსო სისტემის სფეროში რეფორმის მიმდინარეობისას გადასატრეული ამოცანებია:

1. მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის პირობების შექმნა საბანკო სისტემისთვის;
2. ინფრასტრუქტურის შექმნა და გაუმჯობესება;
3. ბუღალტრული და აუდიტორული სტანდარტების დანერგვა კომპანიების და ახალი პროექტების ზუსტი შეფასებისთვის, აგრეთვე ბანკების ეფექტიანობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის;
4. კადრების მომზადება;
5. საკრედიტო პორტფელის შეფასება;
6. ფილიალებისა და მომსახურების ქსელის გაფართოება.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტები მაღალეფექტიანია, რამდენადაც ისინი მოიცავს სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებს, რომლებიც სთავაზობენ სხვადასხვა სახის ფინანსურ მომსახურებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკაში ინდივიდთა პირად მონაწილეობის და დანაშოგების ზრდას. ასეთ რთულ სისტემას აქვს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების ფართო ნაკრები, როგორცაა სასესხო ვალდებულებები – ობლიგაციები და თამასუქები, აქციები, ვარანტები, დეპოზიტური სერტიფიკატები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები და ვადიანი დეპოზიტები. საფინანსო ინსტიტუტები მოიცავენ საინვესტიციო ბანკებს, საფინანსო კომპანიებს, სალიზინგო და ფაქტორინგულ კომპანიებს, საპნესიო ფონდებს, „სარისკო“ კაპიტალის კომპანიებს და სხვ.

საფონდო ბაზრები შეიძლება შეიქმნას რეფორმირების ადრეულ ეტაპზე, მაგრამ შეფასებისა და ინფორმაციის შეგროვების მექანიზმების არასრულყოფილების გამო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობას წლები დასჭირდება, ვიდრე ეს ბაზრები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

საქართველოში ფინანსური ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირება თანმხლები პრობლემებით მიმდინარეობს. დაბალია წარმოების ზრდის ტემპი, ეროვნული ეკონომიკა ნაკლებად ემორჩილება საბაზრო

ურთიერთობათა კანონზომიერებებს, ფაქტობრივად მოდუნებულ მდგომარეობაშია – ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი, ნაკლებად არის ახალი ემისიები. ყოველივე ამის გამო სუსტძალოვანია კაპიტალის ბაზარი, იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებებს.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების პროცესში აუცილებელია ქვეყანაში განხორციელდეს ახალი ემისიები და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება, სხვანაირად საეჭვოა ჩამოყალიბდეს ლიკვიდური საფონდო ბაზარი.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი საფონდო ბირჟის სახით ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ნაცადი საშუალებაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი კანონების მიღებას როგორცაა: კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ, კანონი მუნიციპალური და სახელმწიფო ქონების გამიჯვნის შესახებ, ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში და სხვა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანად ჩამოყალიბებისა და საფინანსო პოლიტიკის სრულყოფის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემის განვითარებას. ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებზე ზემოქმედებისა და ფულად-საკრედიტო რეგულირებისთვის იყენებს კომერციული ბანკების რეფინანსირების მეთოდს, რომელიც მიხნეულია კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებებისა და ლიკვიდურობის მოქნილ მექანიზმად.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბანკო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, გრძელვადიანი დაბანდებების მწყობრი მექანიზმის ჩამოყალიბებას და ეკონომიკის ყველა სფეროში საბაზრო ურთიერთობათა განვითარებას. ამასთან, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისთვის აუცილებელია განხორციელდეს საკრედიტო რეგულირება, რადგანაც მას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ისეთ ეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორცაა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, მყიდველობითუნარიანობის მასშტაბები, ვალუტის კურსის დონე და ა.შ.

გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას დაკრედიტების დარგში წარმართავენ მოკლევადიანი კრედიტების გაცემისთვის, თანაც ძირითადად დასაქმებული არიან სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის დასაკმაყოფილებლად და არა მატერიალური წარმოების სფეროს მომსახურებაზე. მოგვიანებით კი, კომერციული ბანკებისათვის და მთლიანად ეროვნული მეურნეობისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულება უნდა გახდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორიენტაციის ისეთი შეცვლა, როცა შესაძინევი უპირატესობა მიენიჭება მატერიალური წარმოების სფეროს დაფინანსებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკის პერსპექტიული განვითარება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირება და კონტროლის გაძლიერება, რაც გამოიხატება ყველა ბანკის მიმართ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დაწესებით, რათა ბანკის კლიენტები რამდენადმე მაინც იქნენ დაცული შესაძლო დანაკარგებისაგან, ხოლო კომერციულმა ბანკებმა იგრძნონ ფინანსური პასუხისმგებლობა და თავი აარიდონ სარისკო და ნაკლებად ეფექტიან საკრედიტო გარიგებებს.

საფინანსო პოლიტიკის აქტუალური საკითხია საგადაამხდელო ბალანსის რეგულირება. საგადაამხდელო ბალანსი, ერთი მხრივ, ქვეყნის საგარეო-სავაჭრო და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების საფუძველია, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით სწორი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას.

ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საგადაამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე ზემოქმედება მოვახდინოთ ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: ფასები შიდა ბაზარზე, ეროვნული წარმოება, ეროვნული შემოსავალი და დასაქმების დონე.

აღსანიშნავია, რომ საგადაამხდელო ბალანსი დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის ჩამოყალიბებაზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან როლს

უცხოური ინვესტიციები ასრულებს. რადგან მათ მხოლოდ საკუთარი ძალებით საინვესტიციო პრობლემის დაძლევა არ შეუძლიათ. ამასთან, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს უცხოური ინვესტიციების პირობების და ხელსაყრელობის ანალიზს, საუკეთესო ვარიანტების შერჩევას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალი ითვლება საინვესტიციო კაპიტალის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ. სინამდვილეში კი ნებისმიერ ქვეყანაში კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი ხორციელდება შინაგანი დაგროვების ხარჯზე, რისთვისაც აუცილებელია საბანკო სისტემის რეფორმა და საფინანსო შეამავლების ქსელის შექმნა (საფონდო ბირჟა, სადაზღვევო კომპანიებით და სხვ.) ინვესტირების შიდა წყაროების ეფექტიანი გამოყენების მიზნით. შიდა დაგროვების უკმარისობის პირობებში უცხოური კაპიტალის მოდინება კაპიტალის დამატებითი წყაროს როლს ასრულებს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს კაპიტალის დაბანდების გარდა ტრანსნაციონალური კორპორაციები გადასცემენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ცოდნას მართვისა და ბიზნესის სფეროში, ამასთან, აფართოებენ ვაჭრობას ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებთან.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებით ტრანსნაციონალური კორპორაციების დაინტერესების მიზეზებია: 1. სამუშაოს ძალის დაბალი ფასი. 2. პოტენციურად დიდ ბაზარზე საკუთარი მდგომარეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

ამასთან, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალდაბანდებათა მოდინების ხელისშემშლელი მიზეზებია:

1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესთა დამცველი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა;
2. რთული ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ბევრ დროს ართმევს და აძნელებს მოლაპარაკებებს;
3. მოშლილი ინფრასტრუქტურა;
4. სამუშაო ძალის დაბალი შრომისნაყოფიერება.

უცხოური კაპიტალის დიდი ნაწილი ძირითადად გამოიყოფა მრავალმხრივი და ორმხრივი დახმარების სახით. მსოფლიო ბანკი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან უკვე დიდი ხანია თანამშრომლობს. იგი გამოყოფს ამ ქვეყნებს კრედიტს პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, აგრეთვე საგადაამხდელი ბალანსის მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მსოფლიო ბანკის მრავალი სააგენტო აწარმოებს გამოკვლევებს ვაჭრობის, ეკონომიკის, ფინანსური სექტორის, მრეწველობის, გარემოს დაცვის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში. მსგავს გამოკვლევებს აწარმოებენ სხვა ორგანიზაციებიც როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), ევროპის კავშირი (ეკ), ევროპის საინვესტიციო ბანკი, იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკი და სხვ.

ამრიგად, ქვეყნის ფინანსური პრობლემების დაძლევის გზაზე დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ საქართველომ საკუთარი ინვესტიციების დასაფინანსებელი წყაროები უპირატესად შიდა რესურსებითა და მოსახლეობის დანახოების მობილიზაციით უნდა გამოიყენოს, რადგან სავარეო დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულება განაპირობებს ქვეყნის სავალუტო მდგომარეობის არამდგრადობას და მნიშვნელოვან არამყარობას.

საფონდო ბაზრის განვითარების მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ წარმატებების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია და თანმიმდევრულად არის დაცული საფინანსო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპები. ფინანსური ბაზარი არ წარმოადგენს საქართველოსთვის უკვე ჩამოყალიბებული და ტრადიციული საქმიანობის სფეროს. ამიტომ მისი განვითარებისთვის აუცილებელია დამატებითი სტიმულები, განსაკუთრებით შედავათიანი დაბეგვრის რეჟიმის შემუშავება-დაწესება.

განსაკუთრებით ყურადღას იმსახურებს ის გარემოება, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება-განვითარებაში აჩქარება საზიანოა. ბირჟა, უპირველეს ყოვლისა, არის ლიკვიდობა, რომელიც ათეული

წლების მანძილზე გროვდება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის განსავითარებლად დიდხანს უნდა ვიცადოთ. პირველ რიგში, აუცილებელია საბროკერო ბიზნესის განვითარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელში არალიკვიდური ბირჟა შეგვრჩება, დაბალი ოპერატიული და საფასო ეფექტიანობით, ე.ი. ხშირი იქნება სკანდალები და საბოლოო ჯამში, დაეცემა მისი რეპუტაცია. დღეს ქვეყანას სჭირდება კარგი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბროკერო ფირმების თავისუფლად განვითარებას და საინვესტიციო ბიზნესის ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ბაზრის და საკრედიტო-საბანკო დაწესებულებების მეშვეობით ხელს უწყობს ფულადი სახსრების დაგროვების პროცესს და მათ დაბანდებას იმ სფეროში, რომელიც მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოში ფინანსური ბაზრის ფორმირება-განვითარებას ხელს უწყობს პრივატიზაციის პროცესი, მესაკუთრეთა ფენის წარმოშობა, რომლებიც ფლობენ რეალურ ქონებას და ეკონომიკურად დამოუკიდებლები არიან. სწორედ ეკონომიკურად დამოუკიდებელ მესაკუთრეებს გააჩნიათ სავაჭრო გარიგებათა დადების უნარი და შესაძლებლობები ფინანსურ ბაზარზე.

ამასთან, ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა ნორმატიული დოკუმენტების შექმნაა. საყურადღებოა, რომ დღეისთვის ქვეყანაში შექმნილია გარკვეული სამართლებრივი ბაზა და სტრუქტურა ამ საქმის წინ წასაწევად. თუმცა, ჯერჯერობით ეროვნულ ეკონომიკაში თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მისი ეფექტიანი გამოყენება დაყვანილია სპეკულანტურ ურთიერთობამდე.

საქართველოში ფინანსურ ბაზარს გააჩნია შემდეგი თავისებურებები:

1. მცირე მოცულობები და არალიკვიდობა;
2. მატერიალური ბაზის, ვაჭრობის ტექნოლოგიების, რეგულატიური და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, დეპოზიტარული და კლირინგული ქსელის განუვითარებლობა, სახელმწიფოს დაბალი მარეგულირებელი როლი;
3. ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების დაქუცმაცებული, სპორადული სისტემა. სახელმწიფო ხელისუფლება ბაზარზე პირდაპირ ზემოქმედებს ისეთი ორგანოების მეშვეობით, როგორცაა: ეროვნული ბანკი (ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების ოპერაციებზე კონტროლი, ფინანსთა სამინისტრო (არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების კონტროლი), ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია;
4. რისკის მაღალი დონე;
5. ეკონომიკის არასტაბილურობა;
6. საინვესტიციო კრიზისი;
7. საბაზრო დეფიციტი და ბაზრის აგრესიულობა და ა.შ.

საქართველოში ფინანსური ბაზრის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია საფონდო ბირჟის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის უქონლობა, რის გარეშეც წარმატებების მიღწევა მნიშვნელოვნად გადაიწვეს დროში.

ფინანსური ბაზრის განვითარების კონცეფციის შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული აღნიშნული ბაზრის მდგომარეობის ანალიზის ჩატარება, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და ბაზრის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

ნათელა ვაშაკიძე

ეკონომიკის დოქტორი, აკადემიკოსი სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საშემოსავლო გადასახადის შემცირება - სოციალური ფონდის აღდგენის გზა

ფინანსები

ნებისმიერი ქვეყნის არსებობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მყარი, სტაბილური ფინანსური ბაზის შექმნა, რომელიც მიიღწევა სახელმწიფოს შემოსავლების მობილიზაციითა და მდგრადი საგადასახო სისტემის ჩამოყალიბება-ფუნქციონირებით.

სახელმწიფო ფინანსების ფუნქციონირებისას წარმოიქმნება ორი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული პროცესი: სახელმწიფოს განკარგულებაში ფინანსური რესურსების მობილიზაცია და მისი გამოყენება სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ამ პროცესების პირველი აქტი გამოსატყულებას პოულობს ბიუჯეტის შემოსავლებში, ხოლო მეორე აქტი ბიუჯეტის ხარჯებში.

სწორედ გადასახადები წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მთავარ მეთოდს. როგორც წესი, გადასახადები წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო გადასახადს, რომელსაც სახელმწიფო ამოიღებს აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო სახიათიდან გამომდინარე.

საქართველოში არსებული გადასახადებიდან თავისი როლის მიხედვით საყურადღებოა საშემოსავლო გადასახადი. ქვეყანაში შეიქმნა ამ გადასახადის დაბეგვრის პრინციპულად ახალი სისტემა, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ეკონომიკის ცენტრალიზებული სახელმწიფო რეგულირების სიტემისაგან.

საშემოსავლო გადასახადი საგადასახადო პრაქტიკაში ერთ-ერთ ძირითად გადასახადს წარმოადგენს. იგი სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და გადაიხდება შემოსავლის მიღებისას.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესი და ნორმები ნებისმიერ ქვეყანაში ყოველთვის იწვევდა და იწვევს როგორც ხელისუფალთა, ისე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის ცხოველ ინტერესებს. ზოგჯერ ეს ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ კი, მკვეთრად განსხვავებულიცაა. საქართველოს სინამდვილეშიც აღნიშნულმა გადასახადმა ვერ აიცილა მრავალჯერადი ცვლილება და ვერც კრიტიკისაგან გამოდგა დაცული. მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გადასახადის მოცულობის განსაზღვრაში 2007 წლიდან დაიწყო. კერძოდ, 2007 წლის 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში შეიტანა ცვლილება: გაუქმდა 20% –იანი სოციალური გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 12 % დან 25 % მდე. კანონი ამოქმედდა 2008 წლის 1 იანვრიდან, ამასთან მთავრობას დაევადა 2008 წლის 15 მაისამდე წარედგინა 5 წლის განმავლობაში საშემოსავლო გადასახადის ეტაპობრივი შემცირების საკანონმდებლო წინადადებები, რომელიც 25 %- დან განაკვეთს შემცირებდა 15 %-მდე.

საშემოსავლო გადასახადის 20%-დან 15%-მდე შემცირებას 2011 წლიდან ამოქმედებულ საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა. კერძოდ, კანონით განსაზღვრული გრაფიკის თანახმად, 2013 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 20%-ის ტოლი, 2014 წლამდე 18%, ხოლო შემდგომ 15% უნდა გამხდარიყო.

საშემოსავლო გადასახადის ამგვარი ცვლილება მძიმე ტვირთად დააწვა თითოეულ დასაქმებულს. იბადება კითხვა, რეალობაში ვის შეუშცირდა გადასახადის განაკვეთი და ვინ უფრო მართალია ამ დაგეგმი-მთავრობა თუ ხალხი? ამისათვის დაგჭირდება სოციალური და საშემოსავლო გადასახადის ღრმა გააზრება.

საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სოციალური და საშემოსავლო გადასახების არსი.

სოციალური გადასახადის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელად ითვლება დამქირაველი, საწარმო ან ფიზიკური პირი. სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ხელფასი და მასთან გათანაბრებული შემოსავლები, განაკვეთი შეადგენდა 20%-ს.

საშემოსავლო გადასახადის მიხედვით გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრებოდა 25% -ით. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის თუ რა განსხვავებაა ამ ორ გადასახადს შორის. საშემოსავლო გადასახადის შემთხვევაში გადასახადს იხდის დასაქმებული, ხოლო სოციალური გადასახადის შემთხვევაში დამსაქმებელი. სწორედ ეს არის პასუხი კითხვაზე, თუ ვისთვის შემცირდა და ვისთვის გაიზარდა გადასახადის განაკვეთი საშემოსავლო გადასახადის ცვლილებითა და სოციალური გადასახადის გაუქმებით.

მიუხედავად ამისა საგადასახადო კოდექსის ამგვარმა ცვლილებამ დამატებითი პრობლემები წარმოშვა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ცხადია დამსაქმებელი ვერ უზრუნველყოფს ხელფასის მატებას ისე, რომ მიიღოს დიდი უკუფექტი, რადგან გაზრდილ ხელფასს აკლდება გადახდილი თანხა, რომელიც დასაწყისში ხელფასის შეადგენდა. ეს ცვლილება სხვადასხვაგვარად შეეხო სახელმწიფო და კერძო სექტორს. ამ ცვლილებების ფონზე იბადება კითხვები: თუ, რატომ მოახდინა მთავრობამ საშემოსავლო გადასახადის ამგვარი ცვლილება, რა ეკონომიკური ეფექტი აქვს და რა გავლენა ექნება მას დამსაქმებელსა და დასაქმებულზე, როგორი უნდა იყოს სოციალური გადასახადი და რას უნდა ხმარდებოდეს იგი?

საქართველოს პრეზიდენტმა 2007 წლის დასაწყისში თავის ყოველწლიურ გამოსვლაში აღნიშნა, რომ საგადასახადო სისტემა კიდევ უფრო უნდა გამარტივებულიყო. უნდა მომხდარიყო სოციალური და საშემოსავლო გადასახადების გაერთიანება იმ არგუმენტით, რომ სოციალური გადასახადის 20% და საშემოსავლო გადასახადის 12%-ი ჯამში იძლეოდა 32%-ს, სამაგიეროდ დაედგინათ 25 %-იანი საშემოსავლო გადასახადი. ფაქტიურად ეს ორი გადასახადი სულ სხვადასხვა გადასახადია და განსხვავებულ ბაზიდან გაიანგარიშება, ამიტომ, მათი გაერთიანება, მით უფრო დაჯამება -უბრალოდ შეუძლებელია.

საშემოსავლო გადასახადის 12%-დან 25%-მდე გაზრდამ 2-ჯერ უფრო დაამძიმა საგადასახადო ტვირთი. საბიუჯეტო სექტორში ხელფასების ზრდამ გამოიწვია სხვა გადასახადების დაწესება, რაც ბევრისთვის ყურადღების მიღმა დარჩა. საქმე ეხება ქონების გადასახადს. ცნობილია, თუ ოჯახის წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს, მაშინ იგი არ იხდის ქონების გადასახადს, მაგრამ თუ მისი შემოსავალი აღემატება 40 000 ლარს, ამ შემთხვევაში შემოდის გადასახადის პროგრესირებადი სისტემა, რომელიც იწყება 0.02% განაკვეთის პუნქტიდან. ეს გადასახადი მატულობს უძრავ ქონებაზე იმისდამიხედვით, თუ რამდენია ოჯახის წლიური შემოსავალი. წლიური შემოსავალი ოჯახის იზრდება იმიტომ, რომ საბიუჯეტო სექტორმა გაზარდა ხელფასები, საშემოსავლო გადასახადის გაზრდასთან ერთად. შემოსავლად ითვლება დარიცხული ხელფასი და არა ხელზე აღებული თანხა. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა საბიუჯეტო სექტორში გაზარდეს ხელფასები, დაქირავებულმა ხელზე იგივე თანხა აიღო. დარიცხვის გაზრდამ გამოიწვია ოჯახის შემოსავლის ხელგონურად გაზრდა და მათ გაუხდათ ოჯახის შემოსავალი 40 000 ლარზე მეტი, ამიტომ იგი კიდევ სხვა კუთხით დაიბეგრა, ისე რომ მათი შემოსავლები არ გაზრდილა.

კერძო სექტორში მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდადაა, სადაც დაქირავებული და დამქირავებელი შედიან ურთიერთგარიგებაში. ხელფასს აფიქსირებენ ნაკლებს, ხოლო არაფორმალური სიტყვიერი კონტრაქტიდან დამქირავებელი უხდის დაქირავებულს გაცილებით მეტს, რომელიც ცხადია სრულად არ იბეგრება. საშემოსავლო გადასახადის ცვლილებამ სწორედ ასეთ უარყოფით ეფექტს შეუწყო

ხელი, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის და სპეკულაციური გარიგებებისათვის პირველი ხელშემწყობი ფაქტორია.

ჩვენი აზრით, არ უნდა მომხდარიყო სოციალური და საშემოსავლო გადასახადების გაერთიანება, რადგან ისინი არიან სხვადასხვა, ხოლო გადასახადის ტვირთი დააწვა დასაქმებულს, რის შედეგადაც გამოწვეული პრობლემები სახეზეა.

აუცილებელია მოხდეს საშემოსავლო გადასახადის გაყოფა საშემოსავლო და სოციალურ გადასახადებად, რომელთაც დაბალი საპროცენტო განაკვეთი ექნებათ. სოციალური გადასახადის გაუქმება იყო დიდი შეცდომა. მისი შემცირება არ უნდა მომხდარიყო გაუქმებით და საშემოსავლოსთან გაერთიანებით, რის შედეგადაც ფაქტობრივად დაზარალებული დარჩა დასაქმებული.

იმისათვის რომ გამოვიყვანოთ ხელფასები „ჩრდილიდან“, უნდა მოხდეს საშემოსავლო გადასახადის გაყოფა. ერთი ნაწილით შეივსოს სოციალური ფონდი, რომელიც ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მისი პროპორციულ ნაწილებად დაყოფა სპეციალისტთა განსჯის საგანია.

ჩვენი აზრით, სასურველია იგი გაიყოს შემდეგნაირად: 10-12% უნდა გახდეს საშემოსავლო გადასახადი და 12-15% სოციალური გადასახადი. ეს იქნება შედეგით, როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლისათვის.

2013 წლიდან საშემოსავლო გადასახადი უნდა შემცირებულიყო 18%-მდე. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ახალი სისტემით გადამხდელს შეეძლო 20%-ანი საშემოსავლო გადასახადიდან 18% ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაეხადა, ხოლო 2% ნებაყოფლობით ინდივიდუალური დაგროვებით ანგარიშზე გადაერიცხა. ახალი სისტემა 18% + 2% 2013 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო.

2013 წლიდან ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას შემოღებული იქნა დაუბეგრავი მინიმუმის ცნება, რაც წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლიდან 1800 ლარს შეადგენს. აღნიშნული შედეგით ისარგებლებენ ის პირები, რომელთა დაქირავებით მიღებული შემოსავალიც წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს. მაგალითად: თუ წლიური დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 6000 ლარს ან მასზე ნაკლებია 1800 ლარი იქნება დაუბეგრავი და წლის ბოლოს 360 ლარი უკან დაუბრუნდება დაქირავებულს.

ვინაიდან წლის განმავლობაში მოხდება ყველა დაქირავებული ფიზიკური პირის 20%-ანი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა, ხოლო ფისკალური წლის დასრულების შემდგომ წელს იმ პირებს ვინც ისარგებლებენ აღნიშნული საგადასახადო შედეგით, დაუბრუნდებათ კუთვნილი თანხა, შესაბამისად ეს ცვლილება საგადასახადო შემოსავლების შემცირებას 2014 წლიდან გამოიწვევს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საშემოსავლო გადასახადის სრულყოფა დროულად უნდა მოახდინოს. აღნიშნული საკითხი უახლოეს მომავალში აუცილებლად დადგება დღის წესრიგში და მისი გადაწყვეტისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს სტატიაში გამოთქმული მოსახრების თუნდაც ერთი ნაწილი მაინც. საუბარია არა გადასახების წილობრივ მანველებლებზე, არამედ იმაზე, რომ უნდა მოხდეს საშემოსავლო გადასახადისგან სოციალური გადასახადის გამოყოფა. ეს კი საბოლოო ჯამში სოციალურ გადასახადს მიუჩენს იმ საჭირო და აუცილებელ როლს და ადგილს, რაც სამწუხაროდ დღეს იგნორირებულია.

დეფლაციის გავლენა საქართველოს საბანკო სექტორის განვითარებაზე



საქართველოში განვითარებული საბანკო კრიზისის მიმე შედეგების დაძლევის შემდეგ 2011 წლიდან დაიწყო ბანკების საქმიანობის მანევრებულების გაუმჯობესების პროცესი, რომელიც დიდხანს ვერ გაგრძელდა. 2012 წელს ბანკების საქმიანობა ხასიათდებოდა მდარე ზრდითა და საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებით. კერძოდ, სექტორის საკრედიტო პორტფელის ზრდამ შეადგინა წლიური 12.8% , რაც წინა წლების 25-30%-იანი ზრდის ფონზე საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებამ 2012 წლის ბოლოსათვის 21% შეადგინა. ზრდის ასეთივე ტენდენციაა შენარჩუნებული 2013 წლის პირველ კვარტალშიც. ამკარად სახეზეა საბანკო სექტორში არსებული პრობლემების თანდათანობითი გამოკვეთისა და მათი გაღრმავების პროცესი. სიტუაცია პრაქტიკულად უახლოვდება 2008-2010 წლების საბანკო კრიზისის პერიოდის მდგომარეობას, როდესაც ბანკების საქმიანობის გაუარესების მანევრებულები ბრალდებოდა კრიზისულ ვითარებას. დღეს კი ბანკების საქმიანობაში პრობლემების გარდამავება, შეიძლება ითქვას, გამოწვეულია ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით, რაც, თავის მხრივ, დეფლაციური პროცესების განვითარების შედეგია.

საქართველოში დეფლაციის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 2011 წელს. 2010 წლის ბოლოს ინფლაციის მანევრებულება მიაღწია 11.2%-ს და განაგრძობდა ზრდას 2011 წლის მაისამდე, როდესაც მისმა დონემ 14.3% შეადგინა. ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციების მეშვეობით დაიწყო სასწრაფო წესით ლარის ამოღება, რამაც ვერ მოიტანა სასურველი შედეგი. ძალიან მალე ცხადი გახდა, რომ ინფლაციის მანევრებელი აგრძელებდა საკმაოდ სწრაფ ვარდნას, რაც ეკონომიკური ვარდნის აშკარა მანიშნებელი იყო. დეფლაციის შესაჩერებლად ეროვნულმა ბანკმა ისევ მიმართა ინტერვენციის ნაცად ხერხს და 2011 წლის მარტიდან დაიწყო ეკონომიკისათვის ლარის მიწოდება. პრაქტიკულად, ეროვნული ბანკი ცდილობდა მოეხდინა ინფლაციის ხელშეწყობის პროვოცირება, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა. გატარებული ღონისძიებების შედეგი იყო ინფლაციის მანევრებლის კლება 2011 წლის ივნისიდან, რომელმაც თავის ფსკერს -3.3%-ს მიაღწია 2012 წლის მაისში. პრაქტიკულად მთელი 2012 წელი და 2013 წლის დასაწყისი საქართველოში დეფლაცია მძვინვარებს და თანდათანობით ასუსტებს როგორც საბანკო სექტორს, ასევე მთლიანად ეკონომიკას.

საქართველოში დეფლაცია განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, რომელთა შორის მთავარია საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ ანტიდეფლაციური პოლიტიკის არაეფექტიანი წარმართვა. კერძოდ, დეფლაციის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- ეკონომიკაში ფულის მასის შემცირება ინფლაციის ტემპების შემცირების მიზნით. ამისათვის გამოიყენება ბანკების სავალდებულო რეზერვების ნორმებისა და გადასახადების ზრდა, ხელფასის გაყინვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება, სახელმწიფო ფასიანი ქაღალეების გაყიდვების მოცულობის ზრდა, ფულის ბრუნვის სიჩქარის შემცირება და სხვ.;
- მოსახლეობის მიერ ფულის ხარჯვის შემცირება მისი ღირებულების შემდგომი ზრდის მოლოდინის შედეგად ან მოსახლეობის მიერ ნაღდი ფულის დაგროვება მომავალში ხარჯების გასაწევად;

ერთობლივი მოთხოვნის ვარდნით გამოწვეული დეფლაცია გამოწვეულია მეტწილად ეკონომიკაში ფულის უკმარისობით. ეკონომიკის მონეტარული დაბალი დონე ანელებს სასაქონლო ბრუნვას, ხოლო თუ იგი გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში – იწვევს მოთხოვნის შემცირებას და რეცესიას. უკა-

ნასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი მონეტიზაციის დონეს 12%-ის ფარგლებში ინარჩუნებს, რაც უკიდურესად დაბალი მაჩვენებელია, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნისათვის, რომლის ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია აღნიშნული მაჩვენებელი არ იყოს 40%-ზე ნაკლები, ხოლო ძირითად კაპიტალში ინვესტიციების განხორციელებისათვის მისი დონე არ უნდა იყოს 80%-ზე ნაკლები. ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შედეგად მცირდება პროდუქციის გამოსვება და იზრდება უმუშევრობა. მცირდება აგრეთვე ინვესტიციების მოცულობა, რაც განპირობებულია დეფლაციური მოლოდინით. ეს დამატებით ამცირებს მოთხოვნას, რაც კიდევ უფრო დაბლა წევს საქონლის ფასებს და შესაბამისად, ამცირებს წარმოების მოცულობას.

2012 წელს დეფლაციის ფონზე პრაქტიკულად არ იზრდებოდა უძრავი ქონების ბაზარი, ვერც გაყიდვათა მოცულობით და ვერც ფასების ზრდის მიმართულებით. უძრავი ქონების ბაზრის დაზუსტების კვალდაკვალ შემცირდა საავტომობილო ბიზნესის ადგილობრივი გაყიდვებიც. აშკარაა, რომ 2012 წელს ჩამოყალიბდა მომხმარებლის მიერ ძვირადღირებული საქონლის შექენისაგან თავის შეკავების ტენდენცია. ძვირადღირებული საქონლის (საცხოვრისი, ავტომობილები და სხვ.) შესაძენად გასაწევი ხარჯების გადადება სამომავლოდ ასევე წარმოადგენს დეფლაციური მოლოდინის შედეგს, რომლის დიდი ხნის გაგრძელების შემთხვევაში თან სდევს ეკონომიკაში დეფლაციური სპირალის წარმოქმნა.

დეფლაციის დროს ფასების ვარდნა მომხმარებლისათვის სარფიანია, ვინაიდან მისი ხარჯები მცირდება, თუმცა ეკონომიკისათვის დეფლაცია არასასურველია. დეფლაცია იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ საწარმოების შემოსავლები მცირდება. გამომდინარე აქედან, მცირდება სახელფასო ფონდი, რასაც თან სდევს დასაქმებულების სამსახურიდან გათავისუფლება და უმუშევრობის დონის ზრდა. საწარმოებს მოგების ვარდნის ფონზე უჭირთ დამატებითი კაპიტალის მოზიდვა თავიანთი წარმოების განვითარებისათვის. ხანგრძლივი დეფლაცია შეიძლება გახდეს ქვეყნის ეკონომიკური კოლაფსის მიზეზი.

დეფლაცია პრობლემებს უქმნის მათ, ვისაც სურთ კრედიტის აღება. მაღალი დეფლაციის პირობებში სესხის რეალური ღირებულება ხდება ძალიან მაღალი, შესაბამისად მცირდება დაფინანსება კაპიტალში, მცირდება უძრავი ქონების შესყიდვები და სხვა სახის ხარჯები, რაც აჩქარებს ეკონომიკურ ვარდნას. კიდევ უფრო მეტ პრობლემას უქმნის დეფლაცია მსესხებლებს, რომლებმაც უკვე აიღეს კრედიტი და დააგროვეს მნიშვნელოვანი ვალები დეფლაციის დაწყებამდე. სირთულეები იქმნება იმის შედეგად, რომ თუნდაც მოვალეებმა შეძლონ თავიანთი სესხების რეფინანსირება უფრო დაბალი პროცენტით, ფასები მაინც იკლებს, ხოლო სესხი გადასახდელი აქვთ იმ ფულით, რომლის რეალური ღირებულება იზრდება, თანაც, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ სწრაფად. ასე, მაგალითად, თუ ფასთა სხვაობაა 10%, ეს ნიშნავს, რომ იპოთეკური სესხის ღირებულება გაიზრდება 10%-ით. ვინაიდან ფასების კლებას თან სდევს მოსახლეობის შემოსავლების კლება, იპოთეკაზე გადახდების თანაფარდობა შემოსავლებთან მიმართებაში იზრდება.

სავალ ვალდებულებების რეალური ღირებულების ზრდასთან ერთად დეფლაცია ზრდის იპოთეკარების დეფოლტებს, ანუ იზრდება იპოთეკაზე არგადახდების მოცულობა. ფასების დაბალი დონე რეალურ გამოხატულებაში აძვირებს ნასესხობებს ბიზნესისათვის, რაც აუარესებს მათ ფინანსურ ანგარიშგებებს და ართულებს კრედიტებისადმი ხელმისაწვდომობას.

დეფლაცია ზრდის რეალური საპროცენტო განაკვეთების დონეს, ანუ სხვაობას ნომინალურ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის ტემპს შორის. ფასების ზრდისას რეალური საპროცენტო განაკვეთი ნომინალურზე უფრო დაბალია, ვინაიდან მსესხებელი იხდის ფულს, რომელიც უფრო იაფი ღირს. თუმცა, როდესაც ფასები ვარდება, რეალური საპროცენტო განაკვეთი ნომინალურზე მეტია. ყოველივე ეს ამცირებს საერთო მოთხოვნას და იწვევს ფასების დონის კიდევ უფრო მეტად ვარდნას.

გარდა ამისა, შემოსავლებისა და ფასების ვარდნა ახდენს მოსახლეობასა და ბიზნესზე ფსიქოლოგიურ გავლენას. იქმნება გაურკვეველობა იმის თაობაზე, თუ რამდენად შემცირდება ფასთა დონე და შეიძლება თუ არა მონეტარული ხელისუფლება ამ მოვლენასთან ეფექტიან ბრძოლას. ყოველივე ეს კი

ხდება ნდობის დაკარგვის საფუძველი და ეკონომიკური აქტივობის ზრდის შემაფერხებელი.

განვითარებული დეფლაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის საბანკო სექტორის საკრედიტო რესურსებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები. როდესაც რამოდენიმე წლის განმავლობაში კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები აღემატება წარმოების ზრდის მაჩვენებელს, ეს ქმნის დეფლაციის განვითარების მაღალ ალბათობას, რასაც ფაქტობრივად ადგილი ჰქონდა საქართველოში.

კომერციული ბანკების რენტაბელობა კაპიტალზე (გაწმენდილი სარეზერვო კაპიტალის გაბერილი მონაცემებისაგან) 2010-2011 წლებში 4-5-ჯერ აღემატებოდა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპებს. ამას განაპირობებდა როგორც მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ასევე დაკრედიტების მოცულობის ზრდაც. ასე, მაგალითად, კომერციული ბანკების დაკრედიტება თუ 2011 წლის ბოლოსათვის გაიზარდა 26%-ით წლის დასაწყისთან შედარებით, 2012 წელს ანალოგიურმა ზრდამ შეადგინა მხოლოდ 14%. მსგავსი ტენდენციები განვითარდა არასაბანკო დეპოზიტების ზრდის კუთხითაც. მათი ზრდა 2011 და 2012 წელს შეადგენდა 24% და 13% შესაბამისად. ყველაზე წარმატებულ კომპანიებსაც კი არ შეუძლიათ ხელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში შეინარჩუნონ ზრდის მაღალი ტემპები, რომლებიც აღემატება მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპებს. როგორც კი 2012 წელს ინფლაცია გახდა უარყოფითი, კომერციული ბანკების რენტაბელობა მნიშვნელოვნად დაეცა.

გრძელვადიანი დეფლაციის შემთხვევაში ბანკები ამცირებენ საწარმოებისა და მოსახლეობის დაკრედიტებას. შედეგად, საწარმოები კოტრდებიან, ხელფასები მცირდება, უმუშევრობა იზრდება, საქონელზე მოთხოვნა მკვეთრად მცირდება. ყოველივე ეს კი კრიზისის ახალი ფაზის მომასწავებელია.

თუ დეფლაცია სწრაფად არ იქნა დაძლეული, ისეთი სუსტი ეკონომიკისათვის, როგორცაა საქართველოს ეკონომიკა, დეფლაციური კოლაფსის ალბათობა მაღალია. დეფლაციური კოლაფსი არის მოზღვავებული დეფლაციის ფონზე ქვეყნის რეალური სექტორის ჩამოშლა უნადლო ანგარიშსწორებიდან ფულის ამოღების შედეგად. საწარმოების გაკოტრების პროცესი თავისი ინერციული ბუნების გამო ბევრად ჩამორჩება სავალდებულო ემისიის პრაქტიკულად მყისიერ შეწყვეტას (ე.წ. “ნდობის კრიზისი”) და ბრუნვიდან უნადლო სავალდებულო ფულის გაქრობას (ბანკების გაკოტრება და საბანკო მულტიპლიკატორების გაჩერება). ჩერდება საწარმოები, რომლებსაც აღარ აქვთ ფული და რომლებიც კარგავენ გასაღების ბაზრებს. მიუხედავად წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირებისა, საწყობები ივსება საქონლით და იქმნება ჭარბწარმოების ილუზიური სურათი. ხელისუფლების რეაქცია, ჩვეულებრივ, გამოიხატება მცდელობაში საბანკო სექტორის “ფულის ემისია” შეცვალოს მასირებული ცენტრალიზირებული სახელმწიფო ემისიით, რაც წარმოშობს ლიკვიდურობის დიდ კორუფციულ გადანაწილებას, მრეწველობის ნარჩენების სტრუქტურულ მოსპობას, საქონლის მიწოდების მკვეთრ შემცირებას და ფულის მასის მკვეთრ ზრდას – ჰიპერინფლაციას. ყოველივე ეს კი იწვევს მიმდინარე საკრედიტო ციკლის შეწყვეტას.

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**წარმოების საზღვრები ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში
და დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბები
მთლიან შიდა პროდუქტში**

საქართველოს
სტატისტიკის
სახელმწიფო
სერვისი

მთლიანი შიდა პროდუქტი ეროვნულ (მშპ) ანგარიშთა სისტემისა და ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. იგი გამოიყენება როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შედარებების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლების დახასიათების მიზნით. მშპ ახასიათებს დროის მოცემულ პერიოდში ქვეყნის რეზიდენტების მიერ წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის სრულად აღრიცხვა სტატისტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მაგრამ იმის გამო, რომ საწარმოო საქმიანობა მოიცავს როგორც ლეგალურ, ასევე არალეგალურ ურთიერთობებს, წარმოებული პროდუქციის ნაწილი პრაქტიკულად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მეტნაკლები ზომით, აღურიცხავი რჩება. საფუძველი ჩაეყარა ე. წ. სტატისტიკურად დაუკვირვებადი ეკონომიკას. საწარმოო საქმიანობისა და ეკონომიკის სწორად შეფასების მიზნით კი მთლიანი შიდა პროდუქტის ოფიციალური წარმოების გარდა მოიცავს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და აკრძალული საქმიანობის შედეგებსაც.

დაუკვირვებადი ეკონომიკის აღრიცხვისა და შეფასების საკითხს ყურადღება მიექცა 1993 წლის ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში. ამ სისტემის მეთოდოლოგიით წარმოების საზღვრებში კანონიერ საქმიანობასთან ერთად ასევე უნდა იყოს ჩართული არაკანონიერი წარმოება, ფარული წარმოება და იატაკქვეშა ეკონომიკა.

ეას-ის მიხედვით უკანონო წარმოებას მიეკუთვნება საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომელთა ფლობა, გაყიდვა და გავრცელება აკრძალულია კანონით (ნარკოტიკების წარმოება და გავრცელება, უკანონო გადაზიდვები კონტრაბანდის სახით), ისეთი მომსახურება როგორცაა პროსტიტუცია და სხვა. უკანონო წარმოებას მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი საწარმოო საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული, მაგრამ ხორციელდება უნებართვოდ, ლიცენზიის გარეშე (არალიცენზირებული ექიმის მიერ სამედიცინო მომსახურების გაწევა, ანტისანიტარულ პირობებში დამზადებული ალკოჰოლური სასმელები, სურსათი, განსაკუთრებით შებოლილი თევზი, ღორი, ძეხვი თუ სხვა.).

ფარული და არაფორმალური ეკონომიკა, იგივე ჩრდილოვანი ეკონომიკა, მოიცავს ეკონომიკის იმ ნაწილს,

რომელიც აღურიცხავი რჩება გადასახადებიდან თავის არიდების მიზნით (ასეთებია შინამეურნეობების სექტორის დაურეგისტრირებელი საწარმოები და ისეთი საქმიანობა, რომელიც არ არის მოცული სტატისტიკური დაკვირვებით).

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ეკონომიკის ჩრდილოვანი ნაწილი ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი იყო. ერთმანეთში იყო არეული სტატისტიკურად დაუკვირვებადი ეკონომიკა და საგადასახადო თვალსაზრისით დაუბეგრავი ეკონომიკა. საკითხის კვალიფიციურად შესწავლის მიზნით საჭირო შეიქმნა მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ოფიციალური მონაცემებით სტატისტიკურად დაუკვირვებადი წარმოების ხვედრითი წონა საქართველო ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 1996-2000 წლებში დაახლოებით მესამედზე მეტს შეადგენდა, ხოლო სასტუმროების, რესტორნების და ტრანსპორტის

მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 70.0%-ს აჭარბებდა. ამ საკითხზე მსჯელობა ხშირად არაკვალიფიციური იყო და მიმდინარეობდა როგორც სტატისტიკის, ისე მთავრობის უსაგნო კრიტიკა. საჭირო იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაცია. ამ მიზნით 1998 -2002 წლებში სამჯერ იქნა დამტკიცებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ბევრი სწორი და მნიშვნელოვანი დავალება. სამწუხაროდ მათი რეალიზაცია ვერ მოხერხდა, ვინაიდან ბევრ უწყებას ხელს არ აძლევდა ეკონომიკის ჩრდილიდან ლეგალურ სექტორში გადასვლა. 2001 წლისათვის შემუშავებულ იქნა ეკონომიკის განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა, რასაც ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა შეეტანა. ამ პროგრამით ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების გარკვეული მომენტები გადავიდა სიღარიბის დაძლევის პროგრამაში.

ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამა პირველ რიგში მართვის სრულყოფასა და გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. რაც შემდგომში უზრუნველყოფდა მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, საგადასახადო სისტემის სრულყოფას, პრობლემურ რეგიონებში მართლწესრიგის დამყარებას, არსებული ვითარების დარეგულირებას და ხელს შეუწყობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვეთრ შემცირებას. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული ნაბიჯები მართლაც გადაიდგა, მაგრამ სიღარიბის დონე და დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი საერთო გამოშვებაში კვლავ მაღალი დარჩა. აღნიშნულზე მიგვანიშნებს დაუკვირვებად ეკონომიკის ამსახველი ოფიციალური სტატისტიკური მასალა. მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ 1996-2004 წლებში დაუკვირვებადი ეკონომიკის ხვედრითი წილი მთლიან ეკონომიკასთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი იყო სამეწარმეო სექტორში. 2004 წლისათვის დაუკვირვებადი ეკონომიკის ხვედრითი წილი მთლიანი გამოშვების 45,6%-ს შეადგენდა, ხოლო დეკლარირებული გამოშვება - 54,4%-ს. 1996 წელს იგივე მაჩვენებლები შესაბამისად 69,9 პროცენტისა და 30,1 პროცენტის ტოლი იყო (წყარო: საქართველოს ეროვნული ანგარიშები, 1996-2004. თბ., 2005 გვ. 105).

2008 წლისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შეფასებით, ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში დაუკვირვებადი გამოშვების წილი 25 % -ს, ე. ი. თითქმის მეოთხედს აღწევდა. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, 2008 წელს საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ 25 პროცენტი არ იხდიდა გადასახადებს ბიუჯეტის სასარგებლოდ. იმავე პერიოდში დაუკვირვებადი ეკონომიკის მაჩვენებელმა ვაჭრობასა და მომსახურებაში შეადგინა 64,9%, სასტუმროებსა და რესტორნებში- 58,2%, ტრანსპორტზე- 29,1%.

დაუკვირვებადი ეკონომიკის მთლიანი გამოშვება 2005-2011 წლებში ცალკეული ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ნაჩვენებია №1 ცხრილში, ხოლო დაუკვირვებადი გამოშვების პროცენტული წილები მთლიან გამოშვებაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით - № 2 ცხრილში.

ცხრილი №1.

დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოშვება (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი. 2005-2011 წლები)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	170,4	106.1	71.7	71.3	66.9	71.9	86.3
სამთომომპოვებითი მრეწველობა	29.0	43.6	41.0	27.5	20.6	30.3	32.1
დამამუშავებელი მრეწველობა	722.7	673.7	840.6	900.3	619.3	956.6	1006.1
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	52.2	16.5	16.9	16.4	16.9	18.4	24.5
მშენებლობა	672.3	341.5	251.7	621.2	563.2	780.1	417.4
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	1588.2	1865.8	2234.4	2729.0	1534.6	1968.2	2190.0

სასტუმროები და რესტორნები	228.0	266.2	337.3	363.9	373.2	382.6	355.5
ტრანსპორტი	571.8	402.7	572.7	527.7	494.7	633.8	875.1
კავშირგაბმულობა	80.9	69.3	53.8	81.2	88.5	91.9	111.9
საფინანსო საქმიანობა	17.2	21.8	27.3	34.7	34.9	25.4	41.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	173.8	285.5	313.3	312.2	162.2	105.6	166.0
განათლება	178.6	191.1	225.3	275.2	319.7	385.3	532.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	353.6	599.3	667.0	319.7	392.2	464.1	556.0
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	444.5	469.7	664.0	778.8	580.1	699.1	936.3
გამოშვება, სულ	5283,2	5352.6	6317.1	7058.9	5267.1	6613.2	7181.8

წყარო: საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2011. სტატისტიკური კრებული, 2013 წ., გვ.121-123

როგორც პრიველი ცხრილიდან ჩანს, 2005-2011 წლებში გამოშვებაში მისი მოცულობა 5283.2 მლნ. ლარიდან გაიზარდა 7181.8 მლნ. ლარამდე, აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 1898.6 მლნ. ლარი, ხოლო ზრდის ტემპმა - 135.9 %. 2011 წლისათვის ჩრდილოვანი ეკონომიკა კვლავ მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა კომუნალურ, სოციალურ და პერსონალურ მომსახურებაში (56,3 %), ვაჭრობასა და ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში (47,4%), განათლებაში (41.7 %), სასტუმროებსა და რესტორნებში (37.9%), ტრანსპორტში(32.8%) (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი №2.

დაუკვირებელი გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მოლიან გამოშვებაში (პროცენტებში) 2005-2011 წლებში

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	6.6	4.5	3.0	3.0	3.0	3.0	3.0
სამთამაშოებითი მრეწველობა	15.6	15.4	14.5	10.4	8.8	9.9	9.1
დამამუშავებელი მრეწველობა	29.1	22.4	23.9	23.3	17.7	20.4	16.6
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	9.1	2.5	2.3	2.2	2.2	2.1	2.4
მშენებლობა	39.8	16.5	9.4	27.0	23.4	29.7	11.7
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	74.0	65.2	65.9	64.9	49.3	49.2	47.4
სასტუმროები და რესტორნები	45.3	55.4	61.0	58.2	58.2	48.6	37.9
ტრანსპორტი	39.4	24.1	30.3	29.1	25.7	26.9	32.8
კავშირგაბმულობა	11.9	9.7	6.8	8.5	9.8	9.8	12.3
საფინანსო საქმიანობა	4.8	4.8	4.6	4.9	4.8	3.3	4.8

ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	40.5	44.6	37.2	31.3	18.6	9.2	0.9
განათლება	37.2	30.0	32.9	32.9	34.7	36.3	41.7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	54.7	62.9	63.4	24.7	29.4	29.6	33.4
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	72.8	63.8	64.0	63.0	56.9	52.3	56.3
გამოშვება, სულ	30.3	26.1	25.0	24.9	20.0	21.7	19.7

წყარო: საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2011. სტატისტიკური კრებული, 2013 წ., გვ. 124-126

დაუკვირვებელი ეკონომიკის შეფასება საქართველოში ხდება მთლიანი გამოშვების გაანგარიშების ეტაპზე. იგი გამოითვლება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის მეთოდები, ასევე არაპირდაპირი შეფასებები.

ეროვნული ანგარიშების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, მათ შორის მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასების უმთავრესი მოთხოვნაა გაანგარიშებებში ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სრული მოცულობით გათვალისწინება. ამ მიზნის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში სტატისტიკურ აღრიცხვას დაუქვემდებარებელი ე. წ. “დაუკვირვებელი ეკონომიკური საქმიანობის” ადეკვატური გაზომვა.

ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ჩრდილოვანი ეკონომიკა მნიშვნელოვნად შემცირდეს, ან საერთოდ აღმოფხვრას? ჩვენი აზრით, შემცირება შესაძლებელია, მაგრამ მისი საერთოდ აღმოფხვრა შეუძლებელი, რადგან ეკონომიკაში ყოველთვის დარჩება რაღაც ისეთი სეგმენტი, რომლის სტატისტიკა არასოდეს იქნება აღრიცხული. ამასთან, ფისკალური თვალსაზრისით, ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრა შეუძლებელია, რადგან ყოველთვის იქნება ესა თუ ის ადამიანი ან ფირმა, რომელიც თავის გარკვეულ შემოსავლებს დამალავს, რომ გადასახადი არ გადაიხადოს. ეს საერთო პრობლემაა მთელი მსოფლიოსათვის, მხოლოდ მისი მასშტაბებია განსხვავებული.

ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მინიმუმამდე შემცირებას საკმაოდ რთული მომენტები ახლავს თან, რომელიც მის სისრულეში მოყვანას შორეულ პერსპექტივაში სწევს, ან სულაც სათუოს ხდის. ერთადერთი გზა ამ ეტაპზე სიღარიბის დაძლევა და საგადასახადო რეფორმა გვესახება.

იმედია, ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის მიზნით გატარდება გარკვეული ღონისძიებები, მოხდება საგადასახადო რეფორმა, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებაზე, მშპ-ში გაიზრდება მობილიზებული გადასახადების წილი, რაც უშუალოდ აისახება ლეგალური ეკონომიკის განვითარებაზე.

მერაბ ბარათაშვილი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი, აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**სამშენებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების
მაჩვენებლები**

სამშენებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების მაჩვენებლები

სამშენებლო სექტორში ბაზრის მიერ წაყენებული ახალი გამოწვევები, კონკურენცია, მომხმარებლებიდან და დამკვეთებიდან გაზრდილი მოთხოვნები, სრეტიფიცირების მეთოდების და სტანდარტების ცვლილებები ახალი ამოცანების წინაშე აყენებს სამშენებლო ინდუსტრიის საბოლოო პროდუქტის მწარმოებელს, ხოლო შესაბამისად მიღებული შედეგების ცალსახა და სწორად შესაფასებლად აუცილებელია შემუშავებული იქნეს მაჩვენებელთა სისტემები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება როგორც ცაკლეული კვანძების, ასევე საბოლოო პროდუქტის ხარისხის შეფასება. ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა აღწერს სამშენებლო პროდუქტის ნიშან-თვისებებს, რომლებიც იძლევიან მიღებული შედეგების როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ შეფასების საშუალებას.

როგორც წესი, ერთი მაჩვენებელი რაოდენ სრულყოფილი და ტევადიც უნდა იყოს იგი, არ იძლევა სამშენებლო პროდუქტის ამა თუ იმ თვისებების სრულყოფილად აღწერის საშუალებას. შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილების რაოდენობა დამოკიდებულია შესაფასებელი კონსტრუქციისა თუ მისი ცაკლეული კვანძის სირთულეზე და სამშენებლო პროდუქტის ხარისხის საბოლოო მაჩვენებელში მის წვლილზე. შეფასების კრიტერიუმის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი სხვადასხვაგვარია, მათ მიერ მიღებული შედეგები სხვადასხვა ერთეულებშია წარმოდგენილი, ან სულაც ზოგი მაჩვენებელის საბოლოო შედეგი მხოლოდ პროდუქტის ამა თუ იმ თვისების მხოლოდ აღწერით ინფორმაციას იძლევა. მაჩვენებელთა ერთი ჯგუფის შეფასებები ატარებს სუბიექტურ ხასიათს და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც დამკვეთის მიერ შემფასებელთა გუნდის წევრების ასევე შემსრულებლების და მომხმარებლების შეხედულებებზე.

სამშენებლო სექტორის მარკეტინგული კვლევების შედეგად, შესაბამისი ინფორმაციის შეფასებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილ იქნა თვისებების ერთობლიობა რომელიც ითხოვს შეფასებას პროდუქტის ხარისხის საბოლოო კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლის მეშვეობით შეფასების მიზნით:

- სოციალური ნიშან-თვისებები;
- ფუნქციონალური თვისებები;
- საიმედოობა;
- ესთეტიკური თვისებები;
- რეგიონალური თვისებები;
- ხანგამძლეობა;
- ექსპლუატაციაში მოხერხებულობა;
- ტექნოლოგიურობა;
- რემონტის მიმართ მოხერხებულობა;
- ეკოლოგიურობა;
- ეკონომიური თვისებები

მშენებლობაში ხარისხის შეფასების მაჩვენებლები ერთმანეთთან სისტემურ კავშირში არიან და მათი საჭიროება დგება საინვესტიციო სამშენებლო ციკლის ამა თუ იმ ეტაპზე:

- წინასაპროექტო და პროექტირების ეტაპი;

- სამშენებლო მასალების წარმოება;
- სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება;
- საორგანიზაციო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მომზადება;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება;
- ნაგებობის ექსპლუატაცია, მომსახურება, შენახვა, რემონტი.

სამშენებლო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლით გამოვლინდა მათი მრავალფეროვნება და სხვადასხვა ფაქტორებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება.

სამშენებლო პროდუქციის შეფასების სისტემაში მნიშვნელოვანი სოციალური მაჩვენებლების როლი. ისინი განსაზღვრავენ პროდუქტის ყოფასთან შესაბამისობის ხარისხს და მის სოციალური აქტიულობის მნიშვნელობას და სოციალური მოთხოვნის უზრუნველყოფის დონეს. ობიექტის სოციალური მნიშვნელობის განმსაზღვრელი პარამეტრების მოკვლევა და მათი მეშვეობით ობიექტის სოციალური აქტიულობის ხარისხის დონის განსაზღვრა რთული პროცესია. იგი არაერთგვაროვან და მრავალრიცხოვან ფაქტორებზეა დამოკიდებული. მაგალითად საქართველოში ავტობანის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ამ გზის სოციალური მნიშვნელობა მის ეკონომიურ საჭიროებასთან ერთად განმსაზღვრელი იყო პროექტის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისას. და ამ მაჩვენებლებით პროექტის წინა სტადიაზე შეფასების მაღალმა დონემ გადაწონა პროექტის საწინააღმდეგო ისეთი სერიოზული არგუმენტები როგორცაა ფასი, სირთულე განსაკუთრებით მთიან რეგიონში (რიკოთის გადასასვლელი) და მჭიდროდ დასახლებულ უბნებში დაპროექტების და შესრულების სირთულე (ქობულეთისა და ბათუმის გზაასაქცევი). ამ დროს ოპტიმიზაციის კრიტერიუმები, ტვირთებისა და შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების მოზიდვის მიზნით, იყო გადაზიდვებისა საიმედოების გაზრდა, პროცესზე გაწეული ხარჯების მაქსიმალურად შემცირების გზით უსაფრთხოების მაჩვენებლის გაზრდითა და ექსპლუატაციის ხანგრძლივი პროცესის მთელ ეტაპზე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე შენარჩუნებით. სამოქალაქო მშენებლობაში ზოგიერთი სოციალურ ფაქტორი სუბიექტურია. მაგალითად ქალაქის ამა თუ იმ უბნის თუ ქუჩის პრესტიჟულობა. ასეთი მაჩვენებლები და არა რეალური ფასი სერიოზულ გავლენას ახდენენ სამშენებლო პროდუქტის შეფასებისას საბოლოო ღირებულებაზე.

შეფასების ცაკლეული მაჩვენებლები თვითონაა კომპლექსური მაჩვენებელი და შედგება რამდენიმე მიმართულებისაგან. მაგალითად ფუნქციონალური მაჩვენებლები პირობითად შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

- მაჩვენებლები, რომელიც აღწერს შენობებისა და საინჟინრო ნაგებობების სივრცით ნიშანთვისებებს;
- კომფორტულობისა და საპაერო სივრცის შესაფასებელი მაჩვენებლები;
- განათების რეჟიმის შეფასების მაჩვენებლები;
- ხმაურის დონის შეფასების მაჩვენებელი;
- შენობა-ნაგებობების თანამედროვე საინჟინრო და საყოფაცხოვრებო მიღწევებით აღჭურვის დონის მაჩვენებლები;
- შენობა-ნაგებობის, საინჟინრო კვანძის საავტომობილო გზის და სხვა სამშენებლო ობიექტის ფუნქციონალურ დანიშნულებასთან შესაბამისობის მაჩვენებელი;
- შენობა-ნაგებობის, საინჟინრო კვანძის საავტომობილო გზის და სხვა სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ხარისხის მაჩვენებელი.

სამშენებლო პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს მის ISO 9000 მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა.

ISO 9000 სტანდარტის სისტემათა ჯგუფი თავის ისტორიას 1987 წლიდან ითვლის, როცა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (International Organization for Standardization ანუ ISO) დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტის პირველი ვერსია, შემდეგ პროექტირების,

მშენებლობის, მონტაჟის, ექსპლუატაციის ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის მოდელები ISO 9001, ISO 9002 და ხარისხის გამოცდის და საბოლოო კონტროლისა მოდელი ISO 9003. სამშენებლო პროდუქციის სხვადასხვა ციკლზე პროდუქციის ხარისხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეფექტური დაგეგმვით, მართვით და სისტემური გაუმჯობესებით უზრუნველყოფით.

ამის მიღწევის მიზნით კი სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა შეძლოს შემდეგი გამაფრთხილებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა:

- ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საპასუხისმგებლო საქმიანობაზე დაკავებული მუშაკის მოტივაციას;
- ყველა სახეობის სამუშაო ციკლის სრულფასოვანი გამართვა;
- მუშაკთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება;
- სამუშაოთა სტრუქტურის შესაბამისად მუშა ჯგუფების ფორმირება;
- სამუშაო პროცესისთვის განკუთვნილი მასალების იარაღების, ნედლეულის ხარისხის სისტემატური შემოწმება;
- სამუშაო ციკლის სათანადო პროექტითა და ნახაზებით უზრუნველყოფა;
- სამუშაო პროცესში ტექნოლოგიური ციკლის თანმიმდევრობის დაცვა;
- სამშენებლო პროცესის შესაბამისი მანქანებით, მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა;
- მასალების მიღების გაცემისა და შენახვის სისტემის აწყობა და განუწყვეტელი მონიტორინგი.

სააგტომობილო გზების მშენებლობაში შეფასების საბოლოო შედეგია გზის მდგომარეობისა და ხარისხის განსოგადოებელი მაჩვენებლის გამოყვანა რომელიც მოიცავს გზის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მდგომარეობის შეფასებას, გზის საინჟინრო კეთილმოწყობის მაჩვენებელს, საექსპლუატაციო შენახვის დონის მაჩვენებელს: $P_{\text{გზ}} = KP_{\text{გზ}} \cdot K_{\text{საყ}} \cdot K_{\text{კჭ}}$, სადაც $P_{\text{გზ}}$, $KP_{\text{გზ}}$, $K_{\text{საყ}}$, $K_{\text{კჭ}}$ გზის ხარისხის და მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია და მისი მნიშვნელობები გზის კატეგორიის მიხედვით აიღება ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Этенко, В. П. Менеджмент в архитектуре: практикум по управлению качеством архитектурного проекта / В. П. Этенко. – М.: Издательство «ЛКИ», 2008.
2. Строительное производство: Энциклопедия; под ред. А. К. Шрейбера. – М.: Стройиздат, 1995.
3. Никитин В.М., Платонов С.А. Руководство по контролю качества строительно-монтажных работ. – СПб.: Изд-во КН, 1998. – 782 с.

ნაირა ზირსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
დალი ჩახვაშვილი
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

**ინფლაციისა და სამომხმარებლო ფასების ცვლილების
ბავლენა მოსახლეობის შემოსავლებზე**

ინფლაცია მაკროეკონომიკური მოვლენაა, რომლის დროსაც წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური პროპორციების დარღვევა მოხმარებასა და დაგროვებას შორის. იგი აღრმავებს საზოგადოების სოციალურ და ქონებრივ დიფერენციაციას, იწვევს ფასების საერთო დონის ზრდას, რაც განპირობებულია წონასწორობის დარღვევით ბრუნვაში მყოფ ფულად მასასა და საქონლით უზრუნველყოფას შორის. ინფლაცია ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, აიძულებს საზოგადოებას შეამციროს დანახოვები და ფულადი შემოსავლები ძირითადად პირველადი მოთხოვნის საქონლის შექმნაზე დახარჯოს, რის გამოც მკვეთრად იცვლება მოსახლეობის ფულადი დანახარჯების სტრუქტურა. მოხმარების საერთო მოცულობაში მცირდება ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ხვედრითი წილი, რაც მნიშვნელოვნად დაბლა სწევს მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელს.

საქართველოს
სტატისტიკის
სახელმწიფო
სერვისი

სოციალური პრობლემების თავიდან აცილებისათვის მიზანშეწონილია ფიქსირებული შემოსავლების ინდექსაცია, თუმცა ვერც ეს ღონისძიება ამსუბუქებს ასეთი შემოსავლების მქონე ფენების ეკონომიკურ მდგომარეობას.

სახელმწიფომ ანტიინფლაციური პოლიტიკის მიზნად უნდა დაისახოს ინფლაციის მართვა-დობა და ოპტიმალურად გამოიყენოს ინფლაციისთან ბრძოლის აპრობირებული საშუალებები და მსოფლიო გამოცდილება.

მსოფლიო პრაქტიკაში ინფლაციის საერთო დონის დასახასიათებლად გამოიყენება ორი მაჩვენებელი: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, როელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფლაციის დონე სამომხმარებლო ბაზრებზე და მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი, რომლითაც ფასდება ინფლაციის დონე ქვეყანაში წარმოებული და მოხმარებული მატერიალური დოვლათის მიხედვით. ინფლაციასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა მატულობს ფასების საერთო დონე და უფასურდება ფული, ე. ი. როცა ფულის ერთი და იმავე რაოდენობით სულ უფრო ნაკლები მოცულობის საქონლისა და მომსახურების შექმნა შეიძლება. როგორც ვხედავთ, ინფლაცია ნიშნავს, რომ მიმოქცევაში გამოყენებულია ფულის ისეთი მასა, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით.

მართალია ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება ფასების სხვადასხვა ინდექსები, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესის საგანია სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მისი როლი და მნიშვნელობა ინფლაციის შესწავლაში, რადგან ინფლაცია გულისხმობს არა ცალკეული საქონლის ფასების ან მომსახურების ცალკეულ სახეობაზე ტარიფების მატებას, არამედ მათი ერთობლივი ფასებისა და ტარიფების საერთო დონის ცვლილებას.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ცხოვრების ღირებულების ცვლილებებზე დაკვირვებისათვის გამოიყენება. იგი ზომავს ფასების საშუალო ცვლილებას, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობა იხდის სამომხმარებლო კალათით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესაძენად. როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი იზრდება, ოჯახმა მეტი ფული უნდა დახარჯოს ცხოვრების იმავე დონის შესანარჩუნებლად. დღეს მოქმედი სამომხმარებლო კალათა შედგება 290-მდე დასახელების სხვადასხვა საქონლისა

და მომსახურებისაგან. სამომხმარებლო ფასების ინდექსი თითქმის ერთადერთი მაჩვენებელია, რომლის საშუალებითაც ჩვენს ქვეყანაში ინფლაციის დონე იზომება. მის ოფიციალურ გაანგარიშებას ყოველთვიურად ახდენს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

როგორც წესი, ფასების ინდექსი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ფასთა ერთობლიობის შეფარდებას საბაზისო პერიოდის ფასთა ერთობლიობასთან.

ეს ინდექსი გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება ცხოვრების დონის გასაზომად და მას ცხოვრების დონის ინდექსსაც უწოდებენ. იგი ყოველთვის გაიანგარიშებოდა ადამიანთა მიერ მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ფასების ჯამით. ფასების ზრდა სამომხმარებლო საქონელზე იწვევს მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულების ზრდას, რომელსაც შეუქცევადი ხასიათი აქვს არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში. სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება 2006-2012 წლებში მოტანილია №1 ცხრილში.

ცხრილი 1


სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) 2006-2012 წლები

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109.2	109.2	110.0	101.7	107.1	108.5	99.1
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	108.8	111.0	105.5	103.0	111.2	102.0	98.6

წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=127&lang=geo

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, საშუალოწლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2006 წლისათვის შეადგენდა 109.2%, ხოლო 2012 წლისათვის 99.1%, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ საშუალოწლიური ფასები 2006 წელს 2005 წელთან შედარებით გაზრდილა 9.2%-ით, ხოლო 2012 წელს 2011 წელთან შედარებით შემცირდა 0.9%-ით. სამომხმარებლო ფასების ინდექსების ცვლილება წინა წელთან შედარებით ნათლად არის წარმოდგენილი 1-ლ ნახაზზე.

ნახაზი 1



წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=127&lang=geo

ბოლო პერიოდში ინფლაციის დონის შემცირებამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნეს გარემოს ნაწილობრივ გაუმჯობესება. 2004-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (600 ლარს აღემატება). ეს დადებითი ტენდენციაა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის ნომინალურ ზრდას გარკვეულ წილად ინფლაციის დონე განაპირობებდა. 2011 წელს ეკონომიკის ყველა სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიუმა ხელფასმა 690 ლარი შეადგინა. საშუალო ხელფასის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ჯანდაცვის და სოციალურ სფეროში (354%) და კომუნალური მომსახურების სფეროში - (324%), შედარებით დაბალი ტემპით გაიზარდა იგი საფინანსო სექტორში (189%). (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი 2

საშუალო თვიური ხელფასი სექტორების მიხედვით (2011 წელი)

სექტორი	საშუალო ხელფასი ლარებში (2011წელი)	საშ. ხელფასის ზრდის ტემპი 2011-წელს 2006 წელთან შედარებით (%-ებში)
საფინანსო საქმიანობა	1477	189
სახელმწიფო მართველობა	1046	233
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	875	243
ელექტროენერჯის, აირის და წყლის განაწილება	862	216
სამთომომპოვებელი მრეწველობა	843	239
მშენებლობა	812	207
უძრავი ქონების სექტორი	756	265
საცალო ვაჭრობა	665	270
დამამუშავებელი მრეწველობა	592	227
კომუნალური და სოციალური მომსახურება	568	324
ჯანდაცვა	508	354
სასტუმროები და რესტორნები	480	243
სოფლის მეურნეობა	364	249
განათლება	323	264

წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=127&lang=geo

ინფლაციის არსის ახსნა შესაძლებელი უნდა გაეხადოს სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და სამომხმარებლო კალათის ღირებულების მიხედვით. რადგან ფასების დონის ზრდის შემთხვევაში მოსახლეობა იძულებულია შესაძენ საქონელზე უფრო მეტი თანხა გადაიხადოს.

ინფლაციის უპირველესი შედეგი და გამოხატულებაა ფასების ზრდა, ფულის მყიდველობითი უნარის დაცემა.

ეკონომისტები ფასების დონეს განიხილავენ როგორც ფასეულობის საზომს ან ფულის ღირებულებას. ასე, რომ ფასების დონის ამაღლება ნიშნავს ფულის ღირებულების შემცირებას. ამიტომაც არის, რომ ხელფასის ნომინალური სიდიდე არ წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლების იდეალურ საზომს. ამისათვის საჭიროა გამოითვალოს რეალური ხელფასის დონე, რომელიც ფასების ინდექსის შებრუნებული სიდიდეა.

მაშასადამე, ინფლაცია უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განაპირობებს ეკონომიკის განვითარებაში სიღრმისეულ და შეუქცევად ცვლილებებს. ინფლაციის

სოციალურ-ეკონომიკური შედეგები აიძულებს ხელისუფლებას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ფინანსების, ფულის მიმოქცევის, უმუშევრობის, ხელფასების, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობებში.

ქვეყანაში ინფლაციური პროცესების დასარეგულირებლად აუცილებელია ანტიინფლაციური ტაქტიკის შემუშავება. რა თქმა უნდა, ეს ტაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ანტიინფლაციური ტაქტიკის ვარიანტების არსენალი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის ხარისხზე. ცნობილია ანტიინფლაციური ტაქტიკის ნაცადი ვარიანტები, რომელთაგან საყურადღებოა: 1. ფირმებისა და კორპორაციების შეღავათიანი სავადასახაო დაბეგვრა და საბანკო დაკრედიტება; 2. საბაზრო ინფორმაციის განვითარება; 3. სახელმწიფო ქონების სწორად ორგანიზებული პრივატიზაცია; 4. მიმდინარე მოთხოვნის რეგულირების იზნით დანახოების ნორმის გადიდება და მისი ლიკვიდობის ღონის შენეობა.

ინფლაციის პრობლემა მარტო საქართველოში არ დგას. იგი სერიოზული გამოწვევაა ბევრი ქვეყნისათვის. ინფლაცია მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებთან. პირველ რიგში, ეს ეხება სასურსათო პროდუქციაზე და ნავთობზე ფასების ზრდას.

ინფლაციის დაძლევის მიზნით მონეტარული პოლიტიკის მთავარ ამოცანას ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს. სწორედ ეს უკანასკნელი გვევლინება სტაბილური ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ უპირობო საფუძვლად.

დეზღემონა მაღლაკელიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის პროექტირების პროცესში თანამშრომელთა მონაწილეობის ასპექტები

ფირმებში, კოოპერატივებსა და საწარმოებში მართვის სრულყოფის მიზნით აუცილებელია მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის ოპტიმალური დაპროექტება, რომელშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს (შეძლებისდაგვარად) მთელმა კოლექტივმა. თანამშრომელთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ორი ძირითადი ასპექტი გაითვალისწინება. 1. საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ კოლექტივის წევრთა მობილიზაცია და 2. თითოეულის მიერ აუცილებელი საინფორმაციო მასალების შეგროვება და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეცნობა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხშირად პასუხისმგებელი პირები (მენეჯერები) სათანადოდ ვერ აანალიზებენ, რომ თანამშრომელთა თანამონაწილეობა დაპროექტების პროცესში მეტად ფასეული და სასარგებლოა:

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის ფარგლებში

1. თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში, სამუშაოს მიმართ კმაყოფილების შეგრძნებას ავლენენ. ხშირ შემთხვევაში, ასეთი შეგრძნება ზრდის ეკონომიკურ ეფექტიანობას, თანაც ისინი გრძნობენ, რომ მათ აზრებს კოლექტივში პატივს სცემენ და გააჩნიათ გარკვეული სახის მფლობელობა და კონტროლი მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე;

2. აუცილებელია, რომ წარმოების ხელმძღვანელებმა უნდა შეუქმნან კოლექტივის წევრებს აუცილებელი პირობები, თითოეულის საქმიანობა და ინფორმაცია ოპტიმალურად იქნეს ჩართული საერთო საქმის წარმატებების მისაღწევად, რაც სხვა არაფერია თუ არა სამეურნეო პროცესების გაუმჯობესება. ასე მაგალითად, როდესაც გვაქვს სათაო ოფისი ფილიალებით, ფილიალის თანამშრომლებმა მეტი იციან მათი ფილიალის ფუნქციონირების შესახებ, ვიდრე ცენტრალურმა ოფისმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის დაპროექტებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ფილიალებში დასაქმებულ მუშაკთა თანამონაწილეობა. იგივე კონცეფცია მოქმედებს განყოფილებასთან მიმართებაში. საამწიფო ხაზის ოპერატორებმა ჩვეულებრივ, უფრო მეტი იციან იმ პროცესების შესახებ, რაზეც უშუალოდ მუშაობენ, ვიდრე მენეჯერებმა. საყურადღებოა ისიც, რომ ადგილობრივი და ცენტრალური ოფისების ხელმძღვანელებსა და მათ დაქვემდებარებულებს შორის კომუნიკაციას შედეგად მოჰყვება ინფორმაციის გადაცემა, რომელზეც ცენტრალურ ოფისს ხელი არ მიუწვდება.

კოლექტივის მუშაკთა უფლებების დელეგირების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მათი საქმიანობის შეფასება. მენეჯერთა უმეტესობას სჯერა, რომ მხოლოდ მენეჯერს სჭირდება მმართველობითი აღრიცხვის და კონტროლის სისტემის ინფორმაციის გაგება. ბოლო ხანებში ბევრი მენეჯერისათვის აშკარა გახდა, რომ თანამშრომლებმა საწარმოს ყველა დონეზე უნდა გაითავისონ სამეურნეო საქმიანობაში მიღწეული ეფექტიანობა, მიღებული შედეგები და მათი გამოსვლის მეთოდები, რათა განახორციელონ ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესრულების მაღალ დონეს.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ავიაკომპანიის ხელმძღვანელთა მიერ განხორციელებული ღონისძიებანი, რომლის მიზანია საზოგადოებრივი იმიჯის გაუმჯობესება. ამისათვის ავიაკომპანიის მესვეურები ითხოვენ მგზავრებისაგან კმაყოფილების ანკეტის შევსებას. თუ ბორტგამცილებლებს არ აქვთ შესაფერისი განათლება, მათი მოქმედება (უხეში მოქცევა, მომსახურების დაგვიანებით გაწევა) უარყოფით გავლენას მოახდენს მომხმარებელთა კმაყოფილებაზე. ამ მხრივ, ავიაკომპანია წარუმატებელი იქნება მისი ძირითადი ინდიკატორის - ბორტგამცილებლების მიერ არაეფექტიანად შესრულებული სამუშაოს გამო. ანალოგიურად შეიძლება შეფასდეს სხვა სახის მომსახურების საწარმოების საქმიანობაც. მაგალითად რესტორნებსა და სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლები ხშირად იმედგაცრუებულები არიან მომსახურების დონით. მაგ., თუ მიმტანზე მოდის ბევრი სუფრა, მან შეიძლება დროულად ვერ შეასრულოს მომხმარებლის მოთხოვნები, ან თუ მას აქვს გამაღიზიანებელი პირადი ჩვევები, კერძოდ უხეშია. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს კლიენტის შემცირება.

კორპორაციის მფლობელმა და პარტნიორებმა უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესებისათვის გაწეული საქმიანობა და რესურსები ფუჭად იქნება დახარჯული.

მსოფლიო პრაქტიკით დადგენილია, რომ საშუალოდ მომსახურებით ან პროდუქციით უკმაყოფილო მომხმარებლის რაოდენობა, რომელიც უყვება სხვა ადამიანებს თავისი გამოცდილების შესახებ, ხუთჯერ მეტია, ვიდრე კმაყოფილი მომხმარებლის რაოდენობა. ამრიგად, საწარმოს რეპუტაცია ეცემა, რომელმაც კლიენტებს მიაწოდა დაბალი ხარისხის პროდუქცია, ან ცუდი მომსახურება გაუწია მომხმარებელს, საბოლოოდ შეიძლება ფირმა გაკოტრდეს. ზოგადად, სუსტი ან შეუსაბამო მომსახურება თანამშრომლების მიერ, რომლებსაც პირდაპირი კონტაქტი აქვთ მომხმარებელთან, სუსტი მენეჯმენტის, ტრენინგისა და ნაკლები განათლების შედეგია, ვიდრე იმის მიმანიშნებელი, რომ ადამიანი ცუდი თანამშრომელია.

მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თანამშრომლებთა კვალიფიკაციისა და ტრენინგის განხორციელება. კვალიფიკაციის მუდმივი განახლების გარეშე, ფირმები ვერ იქნებიან ლიდერი მთაბაშეები ბაზარზე. მსოფლიო პრაქტიკაში კვლევებით დადგენილია, რომ აშშ-ში ტრენინგის ნაკლებობა სერიოზული პრობლემაა. ამერიკელი თანამშრომლები იღებენ 10-ჯერ ნაკლებ ტრენინგს, ვიდრე იაპონელი თანამშრომლები.

ამრიგად, უწყვეტი განათლების სისტემა თანამდევნი უნდა გახდეს ნებისმიერი თანამშრომლისათვის. გამოცდილების მუდმივად შევსება მათთვის იგივეა, რაც სამუშაოს მოთხოვნილება. კომპანიები, რომლებიც ხელს უწყობენ ასეთი გარემოს შექმნას, მასწავლებელი კომპანიები ეწოდება.

მმართველობითი აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის პროექტირების დროს მნიშვნელოვანი საკითხია მასტიმულირებელი სისტემის განხილვა თანამშრომელთა მოტივაციის მიზნით. იგი იწყება როგორც პროფესიული ზრდის, ასევე დამატებითი მოტივაციის სახით და გადადის სხვადასხვა სახის ფინანსური ჯილდოების სისტემაში.

არსებობს ადამიანთა მოტივაციის სხვადასხვა თეორიები, მოტივაციის წარმომადგენლობითი და მიზნის დასახვის თეორიის ჩათვლით. კომპანიებმა უნდა გადაწყვიტონ რომელი თეორია აირჩიონ. ისინი იყენებენ როგორც პროფესიული ზრდის, ასევე დამატებითი მოტივაციის სახის თანამშრომელთა დაწინაურებას. როგორც აღვნიშნეთ, შინაგანი კომპენსაცია არის შესრულებული სამუშაოდან მიღებული კმაყოფილება, რომელიც პროფესიული განვითარებისა და მიზნების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. ზოგიერთ შემთხვევაში პროფესიული ზრდა ასახავს ორგანიზაციის ბუნებასა და სამუშაოს სახეს, რომელსაც პირი ასრულებს. მაგალითად, მზრუნველობით ცენტრებში ადამიანები ფინანსური ანაზღაურების გარეშე ასრულებენ სამუშაოს რათა დაეხმარონ სხვებს. ისეთი სამუშაოების დროსაც კი, სა-

დაც ადამიანებს აქვთ ფინანსური ანაზღაურება მენეჯმენტის ერთ-ერთ რთულ ამოცანას წარმოადგენს სამუშაოს ისეთი დიზაინისა და გარემოს შექმნა, სადაც თანამშრომლებს ექნებათ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა სამუშაოს შესრულების შედეგად.

შეფასებულ შესრულების ხარისხზე დაყრდნობით გარეგანი კომპესაცია არის ჯილდო, რომელსაც ერთი ადამიანი აძლევს მეორეს გაწეული სამუშაოს კარგად შესრულების აღსანიშნავად. დამატებითი მოტივაციის მაგალითს წარმოადგენს დაწინაურება, პრემია, მილოცვა, სიგელი, ან კორპორაციულ საინფორმაციო ბიულეტენში მისი აღიარება. დამატებითი მოტივაცია ასევე აძლიერებს იმის შეგრძნებას, რომ ხელფასი თანამშრომლის მინიმალური ძალისხმევის კომპენსაციას ახდენს და რომ ორგანიზაციებმა უნდა შემოიღონ წახალისების (კომპესაციის) სისტემა თანამშრომლების დამატებითი მოტივაციისათვის.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ფირმების, კომპანიების მესვეურები ხშირად აღნიშნავენ, რომ მთავარია ფინანსური მოტივაცია მაღალ დონეზე სამუშაოს შესრულებისათვის. როგორც სისტემური, ასევე არასისტემური მიდგომა გვიჩვენებს, რომ დამატებითი ფინანსური მოტივაცია არ წარმოადგენს ეფექტიანი ორგანიზაციის შექმნის აუცილებელ პირობას. მოტივაციისათვის არაფინანსური შინაგანი მოტივაცია და პროფესიული ზრდა უფრო მეტად ეფექტიანია და მათ სათანადო ადგილი უჭირავთ საწარმოებსა და ფირმებში.

პროფესიული დონის ამადლების ზრდისა და დამატებითი მოტივაციის შესახებ კამათის გარდა, ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ დამატებითი ფულადი წახალისების პროგრამები ნებისმიერი ფორმით ნაკლებ ეფექტიანია. სამუშაოს კარგად შესრულება აუცილებელია ყველა თანამშრომლისათვის და წარმოადგენს დასაქმების შესახებ კონტრაქტის ნაწილს და არა იმას, რისთვისაც იმსახურებს დამატებით ანაზღაურებას. ამის საპირიპიროდ, ორგანიზაციების დიდი რაოდენობა იყენებს ფულად სტიმულებს მოტივაციისათვის, როცა თანამშრომლები ჩართული არიან სამუშაოს შესრულების მიხედვით სოციალური შედარების პროცესში. ფულადი მოტივაცია არის არსებითი ინდიკატორი, თუ რამდენად კარგად აკეთებს თანამშრომელი საქმეს სხვებთან შედარებით. აღნიშნული ორგანიზაციები აფუძნებენ დაწინაურების სისტემას დიდი ოდენობით ინფორმაციასა და მახვენებლებზე, რომლებიც მოწოდებულია მმართველობითი აღრიცხვის მიერ. შედეგზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემა ეყრდნობა წახალისებას, რომელიც შეფასების მახვენებლის მიღწევის ან წარმატებების შედეგად გაიცემა. შესაბამისად, კომპანიას ჭირდება საქმიანობის შეფასების ეფექტიანი სისტემა, რომელიც შეკრებს სათანადო და საიმედო ინფორმაციას საქმიანობის შესრულების შესახებ. წახალისება დაფუძნებული უნდა იყოს საქმიანობის სრულყოფილად და ხარისხიანად შესრულებაზე, რომლის შედარებაც მოხდება გეგმასთან, ან გარკვეულ შესადარებელ ჯგუფთან. საქმიანობის სრულად შესრულების მახვენებლები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- წარმოებული საქონლის რაოდენობის მისი ხარისხთან შესაბამისობა, მაგალითად, როგორიცაა პროდუქციის ერთეულის მიხედვით შრომის ანაზღაურება;
- ფირმის, კომპანიის მიერ მიღებული შედეგები, როგორიცაა მოგების დონე ან დაბალანსებულ მახვენებელთა სისტემა;

შედარებით შედეგებზე დაფუძნებული წახალისების ფორმები დაკავშირებული უნდა იქნეს შედეგებთან:

- საქმიანობის შესრულების დასახული დონის გადაჭარბების უნარი, მაგალითად, ბიუჯეტით დაგეგმილი მიზნის განხორციელებისათვის მენეჯერის ანაზღაურება, ან წარმოების ჯგუფისათვის ფულადი პრემიის მიცემა ეტალონური შედეგების მიღწევისათვის;

- გადაჭარბების ხარისხი, რომლითაც შესრულების დონე აღემატება შესადარებელი ჯგუფის საშუალო შესრულების დონეს.

მოტივაციის დროს სახეზე უნდა იყოს საქმიანობის შეფასების სისტემის აუცილებელი მახასიათებლები:

- თანამშრომლებს გათავისებულები უნდა ჰქონდეთ თავიანთი სამუშაო, წახალისების სისტემა და დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ეს სისტემა ოპტიმალურად შეესაბამება მათ წვლილს კომპანიაში;
- საქმიანობის შესრულების ელემენტები, რომელთაც შეფასების სისტემა აღრიცხავს დაწინაურებას, რომელიც შეესაბამება საწარმოს მნიშვნელოვანი წარმატების ფაქტორებს;
- დაწინაურების სისტემამ თვალნათლივ უნდა დაადგინოს თანამშრომელთათვის მისაღები საქმიანობის შესრულების სტანდარტები;
- შეფასების სისტემამ უნდა შეძლოს საქმიანობის ზუსტად ასახვა;
- თანამშრომელთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობის შემთხვევაში შეფასების სისტემამ უნდა დააწინაუროს ჯგუფი და არა თანამშრომელი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტების ამოცანაა შიდა კონტროლის სისტემის შექმნა და შიდა აუდიტის ჩატარება, რაც დაადასტურებს თანამშრომლების მიერ წესებისა და პროცედურების დაცვას.

ამრიგად, მასტიმულირებელი კომპენსაციის გეგმის ყველაზე ზოგადი ფორმებია: ფულადი პრემია, მოგების განაწილება, შემოსავლების განაწილება, შედეგზე დაფუძნებული აქციათა წილი, უფლება ფონდის ღირებულების ზრდაზე და თანამშრომლების მიერ აქციების შესყიდვის გეგმა. ისინი წარმოადგენენ თანამედროვე გამომწვევას მმართველობითი აღრიცხვის სისტემისათვის და ხელს უწყობენ ფირმის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ვაჟა ბურბანიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი და მისი რეალიზაცია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის აპარატი

სიტყვა „სტრატეგია“ მენეჯმენტში შემოსულია სამხედრო საქმიდან. იგი ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად ითარგმნება, როგორც „გენერლის ხელოვნება“. თანამედროვე ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა უმთავრესად დამოკიდებულია სრულფასოვან სტრატეგიაზე. სტრატეგია წარმოადგენს განსაზღვრული წესების ნაკრებს, რომლითაც ხელმძღვანელობს საწარმოთა და ფირმათა ხელმძღვანელები მმართველობითი (სამმართველო) გადაწყვეტილებების მიღებისას. ამასთან, სტრატეგია განიხილება, როგორც საერთო კომპლექსური გეგმა, რომლის განხორციელება ითვალისწინებს საწარმოთა მისიის შესრულებას, რათა მიღწეული იქნეს დასახული ეკონომიკური მიზნები.

სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია ფირმაში დასაქმებულ მუშაკთა ერთობლივი საქმიანობა. ამ მიზნით დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მსხვილ ფირმებში ხშირად იქმნება სპეციალური ჯგუფები 10-15 ადამიანის მოცულობით. მათ მიერ მუშავდება სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები და მათი შესაბამისი ალტერნატიული მოდელები. ცხადია, სტრატეგიის ფორმირებისას შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება. ნებისმიერ მომენტში, როგორ ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ შეიძლება წარმოიშვას ახალი მოვლენები. ასეთ შემთხვევებში უმეტესად არაა საჭირო მთელი სტრატეგიის შეცვლა, საკმარისი მასში სათანადო ცვლილებების შეტანა. ხშირად მოწინავე საწარმოებს, ფირმებს, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო აქვს არაერთი, არამედ რამდენიმე სტრატეგია. მათ შორის წამყვანია გენერალური სტრატეგია, რომელიც მოიცავს საწარმოს, ფირმის მიზნებს, მათი განხორციელების წესებსა და გზებს.

სტრატეგიის უპირველესი ელემენტია მიზანთა სისტემა. მასში შედის მისია (მთავარი დანიშნულება), ზოგადორგანიზაციული და სპეციფიური მიზნები.

სტრატეგიის მეორე ელემენტია პრიორიტეტები. მასში იგულისხმება რესურსების (მოცემულ შემთხვევაში ადამიანური რესურსების) განაწილების მთავარი პრინციპები;

მესამე ელემენტია მმართველობითი მოქმედებებისა და კადრებთან მუშაობის წესები.

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ბიზნესის განვითარება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის გარემო ფაქტორების მოქმედების ხარისხს და ბიზნესის განვითარების დონეს.

ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა გარკვეული პოზიტიური გავლენა იქონია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებაზე, მაგრამ ჩვენ ძირითადად გაგვაჩნია სამომხმარებლო დონისძიებებზე ორიენტირებული და არა მწარმოებლური ეკონომიკა, ამდენად შესაბამისი ფორმირება განიცადა ბიზნეს-გარემომ.

ბიზნესი – არის ახალი სამუშაო ადგილები, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა, კეთილდღეობის განსაზღვრული დონე, წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია, რის გარეშეც რეალური პროგრესი და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია.

ფაქტია, რომ საქართველოში ბიზნეს-კლიმატი იცვლება, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს.

ჩვენი აზრით, ბიზნესის განვითარებისა და რეგულირების პროცესში მნიშვნელოვანია აქცენტის გადატანა რეგიონებზე, რადგანაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის უფრო მეტი გარემო პირობებია. რეგიონებში უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტების გამოვლენა, ადგილობრივი სანედლეულო რესურსების გამოყენება, საოჯახო ბიზნესისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, ტურისტული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, საკურორტო, სასტუმრო მეურნეობების განვითარება, რადგანაც არსებული ბიზნეს-გარემო განაპირობებს ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის განვითარების ტემპებს.

საქართველოს ეკონომიკური გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ძირითადად ეფუძნება ანგარიშებს, ახალ კანონებსა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამ შეფასებების უკან არ დგას უშუალოდ მეწარმეების მოსაზრებები და კონკრეტული პრობლემები. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნეს-გარემოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად ბიზნესმენები ფლობენ, ისინი ყველაზე კარგად აფასებენ არსებულ ბიზნეს-გარემოს.

ომისათვის, რომ გაიზარდოს ქართველი ბიზნესმენების შესაძლებლობები, უნდა გამოვლინდეს არსებული პრობლემები.

ბიზნესის მარეგულირებელ კანონმდებლობაში შედის: ბიზნესის დაწყების ლიცენზიები და ნებართვები, საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრირება, ბიზნესის საგადასახადო კონტროლი, ადამიანური რესურსების დაქირავება.

ბიზნეს-გარემოს შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ლიცენზიები და ნებართვები, საბაჟო კანონმდებლობა, ბიზნესის დაფინანსება, კონკურენცია.

ახლა განვიხილოთ სამეწარმეო სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების მიხედვით. მოქმედ საწარმოთა 96% ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორში საქმიანობს, როგორცაა: ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით, განათლება, მოპოვებითი მრეწველობა და დამამუშავებელი მრეწველობა. ეკონომიკის ისეთი სფეროები, როგორცაა: ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება, ასევე ჯანდაცვა და სოციალური დახმარება ჯერ-ჯერობით ისევ სჭარბობს სახელმწიფო სექტორში.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზი 2013-2017 წლებზე

საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებლის 93%-ს არასახელმწიფო სექტორის საწარმოები აყალიბებენ, მოცემული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია ისეთ სფეროებში, როგორცაა: ვაჭრობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, სასტუმროები და რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით, განათლება. ბრუნვის მაჩვენებელი სახელმწიფო სექტორის საწარმოებში ისეთი სახის საქმიანობების მიხედვით, როგორცაა: სამთო მოპოვებითი მრეწველობა, ჯანდაცვა, სოციალური დახმარება ჯერ-ჯერობით სჭარბობს არასახელმწიფო სექტორის შესაბამის მაჩვენებელს.

არასახელმწიფო სექტორია დომინირებადი სამეწარმეო სფეროში პროდუქციის გამოშვების მხრივაც (89%) ძირითადი კაპიტალის 66% არასახელმწიფო სექტორის საწარმოებზე მოდის. იგი მაღალია ისეთ სფეროებში, როგორცაა: გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ოპერაციები უძრავი ქონებით. საპირისპირო სურათი დაფიქსირდა ჯანდაცვასა და სოციალურ დახმარებაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში.

ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის თანაფარდობის მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა დამატებული ღირებულებებისა და დასაქმების მაჩვენებლების ურთიერთშედარებისას.

შედარებისათვის ავიღოთ საქართველოს კონკრეტული რეგიონი – იმერეთი. რაც შეეხება აქ რეგისტრირებულ საწარმოებს, თუ 2007 წელს იყო 22652 ანუ 10,9%, 2011 წელს 48377-ია ანუ 13,0%. ასევე ბრუნვის მაჩვენებელი 2007წ. შეადგენდა 850,1 მლნ. ლარს, ხოლო 2011 წელს 1742,3. ბრუნვა (მლნ. ლარი), საწარმოთა ზომის მიხედვით 2011 წ. კი ასე გამოიყურება მთლიანად – 1742,3 – ანუ 100%, მსხვილ საწარმოებში 1206 ანუ 69,3%. საშუალო საწარმოებში 226,6 ანუ 13,0%, მცირეში 308,8 ანუ 17,7%.

ბრუნვის 98,1% არა სახელმწიფო საკუთრებაა. მსხვილ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი) საკუთრების ფორმების მიხედვით:

2011 წ. მლნ. ლარი მთლიანად 1206,9 – სახელმწიფო 28,3, არასახელმწიფო 1178,6.

საშუალო საწარმოთა – მთლიანად 226,6 – სახელმწიფო 4,1, არასახელმწიფო 222,4.

მცირე საწარმოთა მთლიანად – 308,8 – სახელმწიფო 1,0, არასახელმწიფო 307,9.

ასევე პროდუქციის გამოშვება მლნ. ლარი (სუბსიდიების ჩათვლით) 2007 წ. 512,7 – 2011 წელს 1089,8. მსხვილ საწარმოებში მთლიანად 1089,8 ანუ 5,7%, მსხვილ საწარმოებში 867,9 ანუ 5,6%, მცირე საწარმოებში 125,0 ანუ 7,3% (წყარო – საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2011 საქსტატი).

მოტანილი მაჩვენებლების მიხედვით იმერეთის მხარეში ბიზნესი განვითარების ტენდენციით ხასიათდება, გაზრდილია როგორც საწარმოთა, ისე ბრუნვის რაოდენობა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეწარმეებს არ აქვთ პრობლემები.

თუ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით (65%) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბიზნეს-გარემო საქართველოში გაუმჯობესდა, ხოლო 35%-ის აზრით არ შეცვლილა.

ჩვენს მიერ იმერეთის მხარეში ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ბიზნეს-სუბიექტების დამოკიდებულება არსებითი ბიზნეს-გარემოს მიმართ განსხვავებულია, გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოა, 38% მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი გარემოა, 27% უარყოფითად აფასებს არსებულ ბიზნეს-გარემოს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეწარმეთათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო ბაზის აღქმა და სწორად გაგება, ამასთან, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები იწვევს ინფორმირებულობის საკმაოდ დაბალ დონეს. უნდა მოხდეს კანონების გამარტივება და სიცხადე, სადაც გათვალისწინებული იქნება ბიზნესმენების მოსაზრებები, რაც კანონს პრაქტიკაზე მორგებულს და მოქნილს გახდის.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევის ანალიზის შესაბამისად, „ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება საქართველოში“ შესწავლილ საწარმოთა 63%-ის აზრით, ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის აუცილებელია დარგების ან/და მცირე საწარმოებისათვის შეღავათების დაწესება, ეს უკანასკნელი მრავალ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია სტრატეგიული დარგების გასავითარე-

ბლად. კონკრეტული დარგებისათვის ან მცირე ზომის საწარმოებისათვის შედავათების დაწესებისას შეიძლება გამოვიყენოთ მდიდარი საერთაშორისო პრაქტიკა ქართული რეალობის გათვალისწინებით.

ქართული ბიზნესის განსავეითარებლად, მასმედიასაც შეუძლია გარკვეული როლს შესრულება, კერძოდ ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების პროცესში. რესპოდენტთა 39% მიაჩნია, რომ მედიამ მეწარმეებს უნდა მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ბიზნეს-საკანონმდებლო სიახლეების შესახებ. 31% კი ფიქრობს, რომ ბიზნესისათვის აქტუალური საკითხების გაშუქებით მედია ხელს შეუწყობს ბიზნეს-გარემოს განვითარებას. მეწარმეების 29% მედიის როლს სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობაში ხედავს.

რაც შეეხება ბიზნეს-გარემოს გამოკვლევაზე მომუშავე ექსპერტების აზრს, ისინი მიიჩნევენ, რომ ბიზნეს-გარემო წლიდან წლამდე უმჯობესდება. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ სფეროში ბევრი პრობლემა დაგროვდა. სახელმწიფოს როლი დომინანტური ეკონომიკისა და ბიზნესის კეთებაში, რაც ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. სახელმწიფო ცდილობს უცხოური კრედიტების აღებითა და მიღებული დახმარებებით წაახალისოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, რათა მიიღოს ნორმალურ ზრდის მაჩვენებელი, ამ ფორმით შიდა პროდუქტების ზრდა არ არის წარმატების და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი. ასევე ძალიან მაღალია საბანკო კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები, ხშირია ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო განაკვეთები არ არის მაღალი ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის რთული ადმინისტრაციული პროცედურები. მცირე და საშუალო ბიზნესი ხელისუფლების პრიორიტეტებში არ ხვდება, მცირე ბიზნესის ფიქსირებული გადასახადები ფორმალურ მხარედ იქცა და ვერ შეიქმნა მისი სტიმულირების მყარი სამართლებრივი და ეკონომიკური გარანტიები. საკუთრების უფლების დაცვა ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. გლობალური კონკურენტუნარიანობის უკანასკნელ ინდექსში საქართველო 142 ქვეყანას შორის საკუთრების უფლების დაცვის კუთხით 120-ე ადგილზეა და ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს. ქვეყანაში იგნორირებულია თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია, ბაზარზე არსებული მონოპოლიები და ოლიგოპოლიები – ქართულ ბიზნეს-გარემოს მნიშვნელოვნად აზარალებს. მათი საქმიანობის შეზღუდვა პირველ რიგში პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანია.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არსებული კანონმდებლობითა და გარკვეული პროცედურებით თავისუფლად შეიძლება სიტუაცია ჩარჩოებში ისე მოექცეს, რომ კომპანიები მნიშვნელოვნად არ შეიზღუდონ. ჩვენი აზრით, ასევე უნდა მოგვარდეს კონკურენციის საკითხებიც, საქართველოში უნდა მოხდეს კონკურენციის დაცვა და განვითარება.

დაბოლოს, გვინდა ვირწმუნოთ, რომ ახალი მთავრობა, რომელიც საუბრობს ბიზნეს-გარემოს შექმნაზე და ბიზნესმენების ხელშეწყობაზე, პრაქტიკულად განახორციელებს საკუთარ გეგმებს და განსაკუთრებით შეუწყობენ ხელს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რათა მოხდეს საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დასაქმება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. შუბლაძე გ., მ. ნანიტაშვილი – ბიზნესის საფუძვლები, თბ. 2011 წ.
2. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტი „ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება საქართველოში“.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2011.

აბაკი ბაშრაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის წყაროს - ჯანდაცვის ინვესტირების საკითხისათვის

„ჟამი არს შობისაჲ და ჟამი სიკუდილისაჲ“ (ეკლ. 3,2)

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის 2013-2017 წლების განმავლობაში

ადარ დაობენ იმ ფაქტზე, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას შორის პირდაპირი და მჭიდრო კავშირია, რამეთუ ეკონომიკური ზრდა ქმნის საწყის პირობებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ამაღლებისთვის [1] და, პირიქით, ჯანმრთელი და დღეგრძელი მოსახლეობა ეკონომიკურ და ბიზნეს პროცესებში ჩართვის და ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებაა და ეკონომიკური ზრდის ძირითადი ხელისშემწეობი ფაქტორია, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის და მოკვდაობის შემცირების ფონზე. აქედან გამომდინარეობს ცნობილი კანონზომიერებაც: ქვეყნის საერთო განვითარების მამოძრავებელი ძალა - ადამიანური კაპიტალის განვითარებაა, რომლის საფუძველი დღეგრძელი და ჯანმრთელი მოსახლეობაა!

ამ პროცესების სრულყოფილი დახასიათება და მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებული მონღომების საგანი უნდა იყოს სამეცნიერო წრეების და მმართველობითი სექტორის მხრიდან. საკითხის სათანადო დონეზე წარმოდგენას აქამდე ხელს უშლიდა რიგი ფაქტორები [2]. დაპირებებმა და „გაურკვეველმა სადაზღვევო პაკეტებმა“ სახელმწიფოს და სადაზღვევო ბაზრის მონაპოვლისტების მხრიდან (ასევე, სადაზღვევო ბაზრის განუვითარებამ) დადი დაასვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის ზრდას და იგი თავისი შედეგებით აისახა კიდევ სხვადასხვა შინაარსის მაკრო მაჩვენებლების არასათანადო დინამიკურ ცვლილებაში.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების კვალად, მცირდება მოსახლეობის მოკვდაობა და იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა [3]. ჩატარებული კვლევებიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის ამაღლებაზე ზრუნვა იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაციის ხარისხის შემცირებას, სიღარიბის დაძლევას და შემოსავლების „თანაბარ განაწილებას“ [4], რაც ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია დღეს. ე.ი. აუცილებელია იმ მაჩვენებლების მიმოხილვა, რომელთა დახასიათებით დაგადგენთ ქვეყნის მოსახლეობის ჯანდაცვაში დანახარჯების ეფექტურობას და სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკურ ცვლილებებზე მომქმედი ფაქტორების გავლენის შესაძლებლობებს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს და ურბანიზაციის ტემპის, ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის, ოჯახის კეთილდღეობის მაჩვენებლის [5], შემოსავლების დიფერენციაციის მაჩვენებლებისა [6] და უმუშევრობის დონის ცვლილება არის ის ძირითადი მაჩასიათებლები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია შესწავლილ იქნას პრობლემა კომპლექსურად.

მსოფლიოში წელიწადში დაახლოებით 8 მილიონი ადამიანი გარდაიცვლება [7] და სიკვდილი ყველაზე ხშირი ფაქტია ყველა ქვეყანაში. მოკვდაობის შემცირება და მისი სტრუქტურის სასურველი შეცვლა ყველაზე მძიმე ამოცანაა ნებისმიერი მთავრობისათვის. მის წინააღმდეგ საბრძოლველად გასააქტიურებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული კვლევა და მაჩვენებელთა ყოველმხრივი ანალიზი, როგორცაა მკვლევლობისა და ჯანმრთელობის განძრახ მძიმე დაზიანების (%0-ში); თვითმკვლევლობის (%0-ში) და მიგრაციის საღდოს (%0-ში); განქორწინების სიხშირის [8] და აღკოპოლური სასმელების მოხმარების ინტენსივობის ცვლილება, მოკლედ მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ქვეყნის თავისებურებების სრული გათვალისწინება.

ვინაიდან ეს მანქანებლები ატარებენ ფაქტორულ ხასიათს, ამიტომ აუცილებელია კორელაციულ-რეგრესიული ანალიზიც, რომელიც მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს. შედეგად, ავხსნით კავშირს და ვიპოვით დამოკიდებულებას ჯანმრთელობის მდგომარეობას, მიგრაციას, ჯინის კოეფიციენტს, სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ქცევისა სხვადასხვა მანქანებლებსა და მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას შორის. რთულია ამ კავშირების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ხარისხის გაანგარიშება, თუმცა კომპლექსურად ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული პარამეტრების ცვლილების ერთმანეთთან შედარება იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ მნიშვნელოვანი დასკვნები, მათ შორის, რაც უფრო სასურველია სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში მოდიანად, მით უფრო სტაბილურია სოციალური გარემო საერთოდ და ოჯახებშიც; იმატებს ქალაქისა და სოფლის ნიშნით მოსახლეობის შემოსავლები (მათ შორის, ჯინის კოეფიციენტის სასურველი ცვლილება); ნაკლებია ადამიანური კაპიტალის გადინება (მიგრაციის ხარჯზე), მცირდება უმუშევრობის დონე და დანაშაულებრივი ქმედებების სიხშირე (საკუთარი თუ სხვა პიროვნების მიმართ) და ა.შ. შესაბამისად, იზრდება მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას როგორც მოდიანად მოსახლეობისათვის, ისე ასაკის, სქესისა და საცხოვრებელი ადგილის (ქალაქი-სოფელი) მიხედვით.

როგორც წესი, მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები [9] აღარ არიან გადამწყვეტი ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მოკვდაობის შემცირებაზე და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაზე. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორების გავლენაც. მათი ერთობრივი ზემოქმედების გათვალისწინებით, გრძელვადიან პროგნოზებზეც ზრუნვა უკვე დროულია, რადგან არა მხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებსაც კი ემუქრება „დაბერების“ სიმწვავე [10], რადგან სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან ახლავს მოსახლეობის დაბერება, როგორც თანამედროდელ უქტი, რომელიც, თავის მხრივ, ასევე შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკური და სოციალური პროცესების მკვეთრი ცვლილებების შედეგი, და დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, განსაკუთრებულად როგორც ქვეყნის ისე ცალკეულ მოქალაქეების ბიუჯეტის სტრუქტურაზე. ამდენად, პარალელურად უნდა გაიზარდოს სახელმწიფო ხარჯები სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მანქანებლის ზრდის ხელშეწყობისათვის ყველა მიმართულებით (სწორი დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის კვალობაზე).


სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ანალიზის სრულყოფს კვლევები საერთო და პიროვნული ფაქტორების გათვალისწინებითაც, როგორცაა მოქალაქეების მდგომარეობა სოციალურ „იერარქიაში“, ქცევის თავისებურებანი (მათ შორის, მავნე ჩვევებისადმი და კრიმინალიზმისადმი მიდრეკილება) და ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა („სითულის“ ხარისხი). ისინი შეიძლება ატარებდნენ ცალკეული მოქალაქეებისთვის შემთხვევით ხასიათს, მაგრამ სოციალური ჯგუფებისათვის და, საერთოდ, მოსახლეობისათვის ცხოვრების დონეზე ახდენენ საკმაო გავლენას. საერთო ჯამში, პიროვნული, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორები არიან მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების გამსახდრელი „ექტორები“.

ამ კონტექსტში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე ორიენტირება და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა კერძო საპენსიო ფონდების შექმნისა და წახალისებისაკენ, რადგან მომავალში ქვეყანა აღმოჩნდება პრობლემათა დიდი ჯგუფის წინაშე. მოსახლეობის „დაბერება“ და, მით უფრო, საპენსიო ასაკის მოქალაქის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და მათზე მზრუნველობა მართალია საამაყო, მით უფრო, ტრადიციული და ქრისტიანული საქართველოსთვის, მაგრამ ამ პროცესების მხარდაჭერა და მართვა დიდი მოცულობის ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, შესაბამისად, სტრატეგიებისა და საპროგნოზო ორიენტირების დასახვა და მათი გადაწყვეტის გზები უნდა იყოს შესწავლილი გლობალურ კონტექსტში, რადგან ცალკეული ასაკისათვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მოსალოდნელი მატება და ამით გამოწვეული ჯანდაცვაზე ხარჯების აუცილებელი ზრდა გამოიწვევს არასასურველ „ეკონომიკურ შედეგებს“...

ხელისუფლება მუდმივად უნდა იყოს დაინტერესებული სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე [11], რაც მოსახლეობის ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების წინა პირობაა! ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ ახალი ჯანდაცვის ობიექტების ან ერთჯერადი ღონისძიებების დაფინანსებაზე, არამედ მთავრობის მიერ გატარებული ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის [12] შემადგენელი ცალკეული სტრუქტურული მიმართულების პროგრამის ეფექტიანობაზე, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგინდება თითოეული ხარჯის უკუგება, ზუსტი სტრატეგიული და საპროგნოზო ორიენტირების პროდუქტიულობის წინასწარი განსაზღვრა. ყოველივე ეს დაეხმარება მმართველობით სექტორს, სრულად აკონტროლოს ადამიანური კაპიტალის არასასურველი მოძრაობის რაოდენობრივი (მოკვდაობა და მიგრაცია) და ხარისხობრივი (შრომითი პოტენციალის შემაფერხებელი [13]) ასპექტები.

გრაფიკი №1


ჯანდაცვაზე ხარჯების ფარდობა მშპ-ს მოცულობასთან 2003-2012 წწ. (%-ში, [14])



მძიმე მატერიალური მდგომარეობა აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის დაძლევას. ჯანდაცვაში ინვესტირება - ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა და ეროვნული განვითარების პროგრამის მთავარი კომპონენტი უნდა იყოს. მიღწევები გამოჩნდება, თუ პრიორიტეტი გახდება მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ოჯახებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა [15]. როგორც იყო ჯანდაცვაზე მთავრობის მხრიდან ზრუნვის დინამიკა [16], ამაზე მეტყველებს გრაფიკი №1. თუ ვენდობით ოფიციალურ სტატისტიკას ჯანდაცვის ხარჯებსა და მშპ-ს შორის თანაფარდობა ძალიან არასახარბიელოა, ხოლო ამ თანაფარდობის ორნიშნა ნიშნულამდე მისვლა ალბათ ოცნებად დარჩება. სხვა ქვეყნებთან შედარებას აზრი არ აქვს, რადგან იქ ნამდვილად სხვა სურათია (იხ. გრაფიკი №2).

გრაფიკი №2


ჯანდაცვის ხარჯების ფარდობა მშპ-სთან (2010 წ., %-ში, [17])



მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობას ყველაზე ზუსტად ახასიათებს მშპ-ს შეფარდებითი და საშუალო მაჩვენებლები, მოსახლეობის დაავადებისა და მოკვდაობის კოეფიციენტები, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის (იხ. გრაფიკი №3) და სხვა მაჩვენებელი. სიცოცხლის ხანგრძლივობის 1991-2001 წწ. დინამიკა თითქმის სახარბიელოა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ დღეს რაიმე გვაქვს, მათ შორის, ეკონომიკური კეთილდღეობის არსებული მდგომარეობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის „ვეროსული“ მაჩვენებელი (განსაკუთრებით ქალებში), იგი უშუალოდ ჯანდაცვის მიმართულებით ისტორიულად სამამულო მიღწევის შედეგია, რაც ჩანს კიდევ მოსახლეობის არცთუ დაბალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის და ზრდასრული მოსახლეობის მოკვდაობის შემცირებული მაჩვენებლების პირობებში [18]. ასე რომ ტრადიციული ქართული დღეგრძელი სიცოცხლის საიდუმლო თაობების ნაღვაწით მიღებული სიმდიდრეა და არ უნდა დაიკარგოს, რადგან ითვლება, რომ შემკვიდრეობითობის გავლენის წილი სიცოცხლის ხანგრძლივობზე 25%-ა [19] და მის ზრდაზე ზრუნვას გაძიერება ჭირდება, მით უმეტეს რომ გრძელვადიანი პერსპექტივა არ გველოდება XX საუკუნის 90-ანი წლების დემოგრაფიული დინამიკის გამო.

გრაფიკი №3

საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წელი) 1991-2011 წწ [20].



„ყველაფერი დადის ფულზე“. ღირებულების შეფასება, რომელსაც ადამიანები ანიჭებენ ჯანმრთელობას, ურთულესია, რადგან საქმე არ გვაქვს საბაზრო საქონელთან, თუმცა ირიბად შეიძლება შეფასდეს ის არჩევანი, რომელსაც ადამიანები აკეთებენ ფულსა და ჯანმრთელობას შორის. 21-ე საუკუნის დასაწყისში, ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე დანახარჯები, დაკავშირებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდასთან, მშპ-თან 29-38% იყო [21]. რატომ ასეთი მოშურნეობა? კვლევებმა აჩვენა, რომ დაავადების მიზეზით სამუშაოს გაცდენა იწვევს მნიშვნელოვან ზარალს; მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე, დასაქმებაზე, დანახარჯებზე და ინვესტიციებზე, აღარაფერს ვამბობთ გარდაცვალებით მიღებულ ზარალზე [22] და ეს ძალიან მნიშვნელოვანი შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს [23].

სულ უფრო ნათელი და ყურადსაღები ხდება ის ფაქტი, რომ სოციალურ-ეკონომიკურ კვლევებში, რომელიც ეხება ადამიანურ კაპიტალს, აუცილებელია ჩაირთოს პიროვნული, მისი სულიერი მხარეც, რადგან ადამიანური კაპიტალის მოძრაობის და დაგროვების მყარი საფუძველი და აუცილებელი პირობა (თუნდაც საქართველოს მაგალითზე) მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი განვითარებაა, რამეთუ არასასურველი პოპულაციის ან/და ინდივიდუალური ჯანმრთელობის მდგომარეობის დაბალი დონის შემთხვევაში, ადამიანურ კაპიტალში სხვა მიმართულებით ინვესტირება ჩვეულებრივ დაბალეფექტურია [24, 60-64]. ამ პროცესებზე გავლენას ახდენს, ასევე, ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა სასიამოვნო საოჯახო და სამუშაო ატმოსფერო, მუდმივი სამუშაო ადგილი, კარიერული წინსვლის რე-

ალური პერსპექტივები და ა.შ.

„შეიძლება დაუპირისპირდე შემოჭრილ არმიას, მაგრამ ვერ დაუპირისპირდები იდეას, რომლის დრო დადგა“ (გ. ჰიუგო). მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ადამიანური კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზის დროს და სოციალურ-ეკონომიკური თუ ბიზნეს პრობლემების გადაწყვეტაში, სულ უფრო მეტი შრომა ეძღვნება თეოლოგიური სწავლების გამოყენებას. ნაშრომი მონდომებულია გამოძებნოს ის გზები ან გააქტიუროს მოსაზრებები თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესობის და მოკვდაობის შემცირების ხარჯზე. სწრაფი ეფექტის მისაღწევად, პრობლემაზე საზოგადოებრივ ზრუნვას აუცილებლად უნდა მივბრუნდეთ ინდივიდუალური მცდელობა. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია პიროვნულ თვისებებზე და ამ საკითხისადმი პერსონალურ დამოკიდებულებაზე. აქ კი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რელიგიური ფაქტორი „სიკვდილის და დღევრძელი სიცოცხლის“ სწავლების შესახებ, ისტორიული წარსულის გათვალისწინებით.

„მაუწყე მე, უფალო, აღსასრული ჩემი, და რიცხვ დღეთა ჩემთა რავედენ არს, რათა უწყოდი, რადა მაკლს მე“ (ფს. 38, 5). სიცოცხლე, სიკვდილი და, ზოგადად, დრო ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია. არ არსებობს სიცოცხლე დროის გარეშე და დრო სიცოცხლის გარეშე, რომ აღიწეროს და გაიზომოს. დაბადება-გარდაცვალება-დაბადება... საზოგადოებისთვის და ოჯახის წევრებისთვის თითქოს თვითრეგულირებადი და მარტივი, მერეს მხრივ კი ურთულესი პროცესია. როდის იწყება და როდის მთავრდება სიცოცხლე? ყველაზე ზუსტი თანამედროვე გაანგარიშებიც კი უძლურია ჩვენი გარდაცვალების (სიკვდილის დადგომის) თარიღის დასადგენად, რამეთუ ეს მხოლოდ ღვთისთვისაა ცნობილი. ურწმუნოები სვამენ კითხვას უნდა გვექნდეს ხანგრძლივი სიცოცხლის იმედი ან/და გვეშინოდეს თუ არა სიკვდილის? მასზე პასუხს სცემს წმ. ბარსანოფი დიდი ერთ-ერთ მორჩილს: „მე რომ გითხრა იცოცხლებ თუ მოკვდები, ეს შენ სარგებელს არ მოგიტანს. რამეთუ, თუ გეტყვი მოკვდები მეოქი, მაშინ შენი ცხონება თითქოსდა ნაძალადევი იქნება; იმიტომ რომ, როდესაც საკუთარ თავს სიკვდილის მარწუხებში დაინახავ, როგორღაც საჭიროების გამო, უარს იტყვი შენს საკუთრებაზე. ხოლო, თუ დიდი ხნის სიცოცხლის იმედი გაქვს და ცხონებას მოისურვებ, მაშინ აზრებს სიკეთის ქმნაში განიმტკიცებ და უეცრადაც რომ მოკვდე, შენი ცხონება თავისუფალი ნებიდან გამომდინარე იქნება [25, 174].“

სიცოცხლეზე როგორც დღევრძელ ისე მარადიულზე (ამ უკანასკნელს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ტრადიციული რელიგიების აღმსარებელი მოსახლეობისთვის) და სიკვდილზე (გარდაცვალებაზე) სხვადასხვა ეპოქაში და ერებში სხვადასხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდათ. ასე მაგალითად, ძველეგვიპტური სწავლება „მკვდართა წიგნი“, მთლიანად აგებული იმ გალობებზე, პიმენტებზე თუ ლოცვებსა და წყევლებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია დაფვლასა და სიკვდილთან. ამასთან, ძირითადი ზრუნვა გარდაცვლილზე მიმართულია მხოლოდ ერთი მიმართულებით: თუ როგორ „გადარჩეს“ სული სიკვდილის შემდეგ [26]. ტიბეტური „ბარდო თხედოლ“ (ბარ-დო ტჰოს-გროლ) ასწავლის ერთგვარ ინსტრუქციებს „სიკვდილის პირზე“ მყოფთა სულის მომავალ ცხოვრებაზე გარკვევის შესახებ, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებით სხვა „ტრადიციული რელიგიების“ სწავლებიდან (მაგ., ლამას ამოცანა აუხსნას მომაკვდავს, რომ ყველა საშინელებას ან სილამაზეს რასაც ის ნახავს, არის მისი წარმოსახვის შედეგი და ა.შ. [27]).

ბუდიზმში სხეულის გარდაცვალების სწავლება მნიშვნელოვანწილად განსხვავდება სხვა ტრადიციული რელიგიების სწავლებას, ამიტომ ვერც შევადარებთ მას გარკვეული პარალელებების დასადგენად, რადგან როგორც ცნობილი რელიგიათმცოდნე გ. ოლდენბერგი ამბობს, რომ „ბუდიზმი უარყოფს სხეულის არსებობას, რასაც მოწმობს ბუდას საუბარი მოსწავლეებთან“ [28]. საოცარია ერთი ფაქტი, რომ ბუდას სწავლებით სიცოცხლე არ იცვლება სიკვდილით, არამედ ის იყო და იქნება. ამ პროცესს განიხილავენ ახლავს შემეცნებითი და სიკვდილი განიხილება არამხოლოდ ბუნებრივად, არამედ სასურველ ფაქტადაც [29], მას აქვს სამი სახე, ხასიათდება ციკლურობით და ა.შ.

„ყოველი შენი სუნთქვა - სიკვდილისკენ ნაბიჯია“ [30]. ისლამში სიკვდილს და საერთოდ გარ-


დაცვალების შემდეგ სულის მდგომარეობას („საიქიო - აპირეთი - აფტერლიფე“) უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ყურანით ისლიმისტს არ უნდა ეშინოდეს სიკვდილის და იგი მუდმივად უნდა ზრუნავდეს „აპირეთზე“, რაც თავის მხრივ ავალდებულებს მას, რომ ყველა მისი ქმედება იყოს გააზრებული [31]. შესაბამისად, ყურანი პირდაპირ მიუთითებს, რომ ყოველი ადამიანი „განიკითხება“ მის მიერ ჩადენილი ბოროტი და კეთილი საქმეებისთვის და უნდა იყოს მუდმივად მზად სიკვდილისათვის [31]. ისლამში სიკვდილის გაგებას დიდი როლი ენიჭება (ყურანში იგი 160-ჯერ არის ნახსენები [33]). თითოეულმა ზრდასრულმა მუსულმანმა იცის, რომ ყურანის სწავლებით, მას მოუწევს გარდაცვალების შემდეგ ყველა ქმედებაზე პასუხისგება. ამით ისინი მუდმივად ფიქრობენ თითოეულ გადაგზულ ცხოვრებისეულ ნაბიჯზე, რომ ხილულ სამყაროში ცხოვრება დროებითია და ყველა მოკვდავია [34].

„როცა ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო როდესაც სიკვდილი არის, ჩვენ აღარ ვართ. ასე რომ, იგი სრულებით არ ეხება არც ცოცხლებს, არც მკვდრებს, რადგან პირველთათვის იგი არ არსებობს, მეორენი კი უკვე აღარ არსებობენ“ (ეპიკურე). ძირითად ფილოსოფიურ მიდინარეობებში გვხვდება სიკვდილის გარკვეულწილად მიმსგავსებული შინაარსი. მაგალითად, ანტიკურ ფილოსოფიაში სიკვდილის გონივრული გააზრება სოკრატესთანაა მოცემული. იგი რადიკალურად უდგება სიკვდილს და თვლის, რომ სიკვდილი სიცოცხლის უარყოფა არ არის. სიკვდილი სულის გაყრას სხეულთან... პლატონის კონცეფციაში სიკვდილის დროს თავისუფლდება რა სხეულისაგან, სული ჭეშმარიტებას სწვდება, ბევრად უკეთ აზროვნებს, ესმის და გრძნობს, ვიდრე სხეულის ტყვეობაში ყოფნის დროს. ადამიანს შეუძლია მოიპოვოს უკვდავება, თუკი თავად შექმნის ისეთ წანამძღვრებს, სულს რომ მისცემს შესაძლებლობას დაუბრუნდეს ღვთაებრივ ბუნებას. სტოელების აზრით, ყოველ დღეს სიკვდილისაკენ მივყავართ. ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ თავად სიცოცხლე შეიცავს სიკვდილს [35]...

„სადა არს, სიკუდილო, საწერტელი შენი?“ (ოსე 13, 14; I კორ. 15, 55). ყველა დროის ადამიანი ფიქრობდა როგორ გაეხანგრძლივებინა სიცოცხლე, უამრავი თეორიებიც კი შეიქმნა, დასახელდა ასაკმიღწევის რეკორდები, მაგრამ დღევრძელი სიცოცხლის მიღწევის საწყისების მოძებნა და/ან კანონზომიერების დადგენა მაინც არ მოხდა. მაინც სად ვეძებოთ დღევრძელობის მიღწევის წყაროები? „არავინ ჩუენგანი თავით თუსით ცოცხალ არს, და არავინ თავით თუსით მოკუდების; რამეთუ გინა თუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ“ (რომ. 13, 7-8). რას ფიქრობს და როგორი დამოკიდებულება აქვს სიცოცხლესთან და სიკვდილთან ქრისტიანს, ბუნებრივია, რომ ჩვენთვის უფრო საინტერესოა. რათქმა უნდა, ეს წყარო მხოლოდ ღვთისგანაა და მისი მცნებების აღსრულებაშია! აი სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის კანონზომიერი საფუძველი, რომელიც ძველი აღთქმის მამამთავრებიდან [36] „მოღის“ (იხ. გრაფიკი №4).

გრაფიკი №4

სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა ადამის გაჩენიდან დავით მეფემდე (წინასწარმეტყველი)



„სიცოცხლე ესაა გონების, სულისა და სხეულის ერთობა და თანაშერთვა, სიკვდილი კი არის არა თანაშერთულთა მოსპობა, არამედ დარღვევა მათი კავშირისა, რადგან ღვთისგან ნარჩუნდება ყველა მათგანი რღვევის შემდეგაც“ [37, 30]. „აჰა, ესერა, მიმიცემიეს თქვენ წინაშე დღესდღე ცხორება და სიკუდილი... ისმინე მცნებანი უფლისა ღმრთისა შენისანი, რომელსა-ესე მე გამცნებ შენ ... და დაიმარხნე ყოველნი მცნებანი მისნი და სამართალნი მისნი და მშჯავრნი, სცხონდეთ და განმრავლდეთ... უკეთუ ... არა ისმინო შენ უფლისა ღმრთისა შენისა ... გაუწყებ შენ დღესდღე, რამეთუ ... არა დღევრძელ იყვნეთ თქვენ ქუეყანასა მას ზედა (2 სჯ. 30, 15-18, [38]) და „... თავით თვისთ განჩინება იგი სიკუდილისა მთავრად“ (II კორ. 1,9). სიკვდილი, როგორც მოვლენა, არ მადის ღვთისგან! „რამეთუ ღმერთმან სიკუდილი არ დაჰბადა“ (სიბრ. 1,13), არამედ „უფლის თქუმა იგი მიუდგის და შვის ცოდვა და ცოდვა იგი სრულიქმნის და შვის სიკუდილი“ (იაკ. 1, 15) და „ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვა სოფლად შემოჰდა და ცოდვისა ძლით - სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს“ (რომ. 5,12), ანუ სიკვდილი - ჩვენი ცოდვით დაცემის საზღაურია, დალა და სხვა არაფერი. იგი ჩვენს გამო განხდა ჩვენივე ცხოვრებაში, ვინაიდან ცოდვის მემკვიდრეობით დაკარგვდ მიწაზე საუკუნო ცხოვრება! [39]

„... ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“ (რომ. 13, 23). მორწმუნემ (ვინც საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრობს) ასეთი საშინელება უნდა მიიღოს, როგორც „სიკუდილი კაცისა განსუენება არს“ (იობ. 3, 23) და „ვინ არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა იხილოს სიკუდილი“ (ფს. 88, 49). წმ. ტიხონ ზადონელი გვმოდვრავს, რომ სიკვდილი ჩვენთვის ნაცნობიცაა და უცნობიც. ნაცნობია, რადგან ყველა გარდაიცვლებით; უცნობია, რადგან არ ვიცით როდის, როგორ და სად მოხდება ეს. რაც მეტს ვცხოვრობთ, მით უფრო იღვევა ჩვენი დარჩენილი ცხოვრება, გვიმცირდება სიცოცხლის დღენი და ვუახლოვდებით სიკვდილს [40].

ქრისტიანული ცხოვრების წესით შეგვიძლია გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე, როგორც ამას ისტორიულად და რეალურად აღწევდნენ მორწმუნენი, მათ შორის, ერთი მყოფნიც და სასულიერო პირები (მამათავრები, ქრისტეს აღმსარებლები, მეუღაბნოე მამები და ა.შ.). ამდენად, შეგვიძლია მივიერ ცხოვრებაშივე მივალწიოთ დღევრძელობას და, ამასთან, შევქმნათ ჩვენი საუკუნო ცხოვრების წინაპირობები და, საერთოდ, არ უნდა შეგვაშინოს სიკვდილმა, თუ მას აღვიქვამთ როგორც შანსს, რომლის დადგომით მოვიპოვებთ სულის მარადიული ცხონებას, რამეთუ ამბობს უფალი: „მე ცხორება საუკუნო მივსცე მათ, და არა წარწმედენ უკუნისამდე“ (ინ. 10, 28) და რადგან ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ სიკვდილი - „ამიერიდან სასურველ ხარ შენ მართალთათვის, ვითარცა განუყოფელად ღმრთისა შემაერთებელი“ [41].

„განწვალა ღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე ერთი“ (დაბ. 1, 4-5). რაც შეეხება დროის ხანგრძლივობას, რომლის მიხედვით იზომება სიცოცხლის ხანგრძლივობა, ანუ ასაკი [42], იგი ბიბლიურად იწყება დღე-ღამის ათვლით [43], რომელთა ერთობლიობით, ჩვეულებრივ, მიიღება ერთი წელი, თუმცა წმ. წერილში გვხდება ისეთი ადგილებიც, როცა „დღის“ შინაარსი მოიცავს როგორც დროის კონკრეტულ მომენტს ან ზომას, ისე გარკვეულ ხანგრძლივობას და პერიოდს [44].

უნდა გვეშინოდეს თუ არა სიკვდილის? „ვინ არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა იხილოს სიკუდილი“ (ფს. 88, 49). მეომარს, რომელსაც ეშინია, ვერასოდეს გამოიხენს სიმხნევს, ჩაიდენს სიმამაცეს და მიაღწევს გამარჯვებას, „ვითარცა-იგი წინა-უც კაცთა ერთ გზის სიკუდილი“ (ებრ. 9, 27). ქრისტიანული რელიგია (ასევე, ისლამი და სხვა ტრადიციული) ასწავლის, რომ ფაქტობრივად სიკვდილი თავისი დადგომით არ წყვეტს ადამიანის არსებობას, არამედ სახეს უცვლის და კვდება მთლიანობაში არა ადამიანი, არამედ მხოლოდ სხეული, ხოლო სიცოცხლეს უკვდავად ინარჩუნებს სული [45], რომლითაც ადამიანი ემსგავსება ღმერთს და როგორც გმოდვრავს უფალი: მე „ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? ... ღმერთი მკუდართა, არამედ ცხოველთა“ (მთ. 22, 32). წმ. ეგნატე (ბრიანხანინოვი) გვმოდვრავს, რომ სიკვდილი არის უდიდესი საიდუმლო, იგი ადამიანის მიწიერი, დრო-

ბოთი და ხანმოკლე ცხოვრებიდან მარადისობაში დაბადება! [46] გვამხნევენს წმ. იოანე ოქროპირი: ყოველთვის ელოდე სიკვდილს, მაგრამ არასდროს შეგეშინდეს, რადგან ერთიც და მეორეც სიბრძნის ნიშანია [47] და არ უნდა გვეშინოდეს, რადგან „სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ. 16, 33), რამეთუ „მაშინ აღესრულოს სიტყუა იგი წერილისა: დაინთქა სიკუდილი ძლევითა“ (1 კორ. 15, 54; [48]).

ბუნებრივია, ყველა ადამიანი ოცნებობს დღეგრძელ სიცოცხლეზე, მაგრამ ქრისტიანმა, გვასწავლის წმ. ტიხონ ზადონელი, ამასთან უნდა იფიქროს ასევე ნეტარ სიკვდილზეც [49]. გამოდის, რომ ისეთი ცხოვრების წესით უნდა ვიცხოვროთ და ვიზრუნოთ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, რომელიც „ნეტარ სიკვდილთან“ მიგვიყვანს. ცალკეულ მოქალაქეთა საკუთარ სიცოცხლეზე ასეთი მცდელობით, საზოგადოება მიიღებს სოციალური სტაბილურობის და კეთილდღეობის ამაღლების გარანტიას, გაუმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების უკუგება და განხდება სიღარიბის დაძლევის რეალური შანსიც [50], მიიღწევა (ასაკის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) მოკვდაობის კოეფიციენტების შემცირების გზები, გამოიკვეთება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის პერსპექტივები და შემცირდება მოსახლეობის „დაბერების“ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები და ა.შ. ყველაზე დიდი მზრუნველი ხომ ყოველთვის ჩვენთანაა - ღმერთი, რამეთუ ამბობს უფალი - „მე შენ თანა ვარ, უფალი ღმერთი შენი, ყოველსა ადგილსა, ვიდრეცა ხვდოლი“ (ისლ, 1, 9).

წყაროები და შენიშვნები:

1. რატქმა უნდა, მნიშვნელოვანია პიროვნების ინდივიდუალური მცდელობაც, რამეთუ „არავინ სადა თავი თვისი მოიძულოს, არამედ ზრდინ და ჰფუფუნენ მას“ (ეფ. 5, 29).
2. მათ შორის, სამწუხაროდ, ბოლომდე არ გამიხნდა ხელისუფლების პოლიტიკური ნებაც - ირჩევს თუ იგი პრიორიტეტად ამ პრობლემის გადაწყვეტას თუ კვლავ შეეცდება მიაღწიოს მხოლოდ, უბრალოდ „მინიმალურ დონეს და ა.შ.“
3. ან პირიქით, რომლის ნათელი მაგალითი იყო XX-XXI სს. მიჯნა, რამაც დადი დაასვა საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურას, რაც აისახა კიდევ დემოგრაფიული მახასიათებლების გაუარესებაში, რაც შეეხება მათ აღდგენას, სასურველ ნიშნულამდე მისვლას დიდი დრო დაჭირდება.
4. ვრცლად: Bloom, D., Canning, D., The Health and Wealth of Nations // Science. 2000. Vol. 287. Issue 5456; Preston, S., The Changing Relation Between Mortality and Level of Economic Development // Population Studies. 1975. Vol. 29. Issue 2; Subramanian, S. V., Belli P., Kawachi I., The Macroeconomic Determinants of Health // Annual Review of Public Health. 2002. Vol. 23.
5. ოჯახის ყველა შემოსავლის ფარდობა წევრთა რაოდენობაზე
6. ასევე, კომერციული ბანკების მონაცემებით გაანგარიშებული ანაბრების ჩაწოდის კოეფიციენტის და შენახვის ვადის მაჩვენებლებით შეიძლება ასევე ვისმჯელოთ მოსახლეობის დანახვების სტაბილურობაზე, რაც ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი მახასიათებელია.
7. www.euro.who.int
8. განქორწინებათა რიცხვის ფარდობა ქორწინებათა რიცხვთან. შეიძლება აქ ჩავერთოთ, ასევე, დეპრესიის გამომწვევი სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორების მაჩვენებლები.
9. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მხოლოდ მაღალი დასაქმება, შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდა არ იძლევა ჯანდაცვის სასურველი დონის მიღწევას. მაგალითად, მომპოვებელი და ზოგიერთი გადამამუშავებელი წარმოებამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს გარემოზე, მასზე ზემოქმედების აუცილებელი ზედამხედველობის, კონტროლის და რეგულირების გარეშე, ან კიდევ - ისეთი პროდუქციის წარმოების მაჩვენებლების ზრდამ, რომელიც დაკავშირებულია იმ სახის პროდუქტების წარმოებასთან, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. მოკლედ,

აუცილებელია განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის შედეგების განაწილება „სასურველი“ და „არასასურველი“ ნიშნით. ვრცლად, www.medeconomics.ru-ze

10. Allianz Demographic Pulse-s kvlevis Sedegebi ix. www.allianz.ru-ze.

11. საბაზრო პირობებში, სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის ზრუნვის ისტორია საქართველოში მწირია და, საერთო ჯამში, მიმართული არ იყო ფართო ფენებისთვის, არამედ ემსახურებოდა „კერძო ინტერესებს“. „100 ახალი საავადმყოფო“ - პიარ-კამპანია აღმოჩნდა, ვიდრე მოქალაქეებისთვის სარგებელი, რადგან ძალიან მცირე რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლები ჯანდაცვისათვის საჭირო ხარჯების გასაწევად და აშკარა იყო სადაზღვევო ბაზრის მცირე ზომის მოთამაშებიდან სასურველი „ზომისა და ხარისხის“ პროდუქტების შეთავაზება, ამას დაემატა, სადაზღვევო ბაზრის მონოპოლია და ა.შ.

12. ამ პროგრამის ფარგლებში გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური და ბიზნეს პროცესების გლობალიზაციამ და ვაჭრობის ლიბერალიზაციამ სწრაფვამ საქართველო დააყენა მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე, როგორცაა უხარისხო საკვები პროდუქტების, მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების იმპორტი, ამიტომ აუცილებელია მათზე კონტროლის გამკაცრება. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, რომ ერთ-ერთი მთავალი პრიორიტეტი უნდა გახდეს მოსახლეობის სანიტარული პირობების გაუმჯობესება, რომელიც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და, შესაბამისად, სიღარიბის დაძლევაზე. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებით - ანტისანიტარიისთვის დახარჯულ თითოთეულ დოლარს მიაქვს 7 აშშ. დოლარის შემოსავალი, ხოლო უმეკმეღობის გამო იკარგება წარმოუდგენელი თანხები. ვრცლად www.esa.un.org-ze

13. დაავადების გაერცვლების სისწირე, მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილება და ა.შ.

14. wyaro: www.geostat.ge

15. www.euro.who.int; ცნობისთვის, საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პირველად ჩატარდა 2009 წელს. მათივე ანგარიშით, ეს იყო პირველი ნაბიჯი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, უკეთესი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად ხელმისაწვდომი მტკიცებულებების გამოყენების მიზნით. ამავე დროს, ის აშკარად მიუთითებს საიმედო მონაცემების ნაკლებობაზე. სრულად იხილეთ: www.healthrights.ge

16. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის „მაკროეკონომიკისა და ჯანდაცვის“ სპეციალური კომისიის დასკვნით განვითარებადმა ქვეყნებმა 2015 წლამდე ჯანდაცვაზე ხარჯების ფარდობა მშპ-სთან უნდა გაზარდონ 2%-ით. ვრცლად www.euro.who.int-ze

17. წყარო: www.creativeconomy.ru

18. მეტი სიცხადისათვის იხ. www.geostat.ge

19. www.scienceagainstaging.com

20. წყარო: www.geostat.ge

21. www.test.cp.euro.who.int

22. ამერიკელ მეცნიერთა აზრით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლის გრძელვადიანი ზრდა დამოკიდებულია ზრდასრული მოსახლეობის მოკვდაობის ცვლილებაზე, რატომაც უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, და არა პირქით. www.ncbi.nlm.nih.gov

23. www.euro.who.int

24. ამ საკითხის გარშემო სრულად შეიძლება იხილოთ: Миллер М., Влияние уровня здоровья населения на увеличение человеческого капитала, ж. «Креативная экономика» № 7 (19), 2008 г.

25. სულიერი ცხოვრების სახელმძღვანელო, ნაწ. II.

26. www.pravmir.ru

27. www.putimaga.ru

28. www.mystique.com

29. www.antaiji.dogen-zen.de, www.sgi.org, www.buddhanet.net

30. ნ. ბალადა (მუსულმანი სასულიერო მოღვაწე)
31. დაწვრილებით იხ. www.lossofsoul.com
32. ყურანის სწავლებით ადამიანი კვდება ისე, როგორც იცხოვრა. უფრო მეტიც, ამ წიგნით ალაჰისთვის წამებულები ვერ გრძნობენ სიკვდილის „მწარე გემოს“ და ვერც ხვდებიან, რომ გარდაიცვალენ, ხოლო ცოდვილებს ელით საშინელი სიკვდილი... (ყურანი, 8, 50-52)
33. www.islamdag.ru, www.lossofsoul.com, www.assalam.ru
34. www.qurani-kerim.narod.ru, сура «Аль-Анкабут», аят 57, сура «Аль-Джуму'а», аят 8 и сура «Алу 'Имран», аят 185
35. www.sibrdzne.ge
36. რატომ შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობა ბიბლიკრი ისტორიით, ქრისტიანული ეკლესიის მნათობი წმ. ეფრემ ასური პირდაპირ მიგვითითებს, რომ ღმერთმა შეამცირა კაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა სამოცდაათ წლამდე და ესეც წყალობაა, რადგან არ მოხდეს ცოდვებში გამრავლება და განვრცობა, ცოდვისადმი ჩვენზე მიდრეკილობის გამო (www.omolenko.com).
37. სათნოებათმცოდნეობა, ნაწ. 1, №90.
38. წმ. მოსე უფლის სახელით მოძღვრავდა არა მხოლოდ მაშინდელ ებრაელებს, არამედ საუკუნოდ ყველას. შედარ. 2 სჯ. 4, 25-26 და 40; 5, 16 და 33; 6, 2; 11, 9; 17, 20; 22, 7; 25, 15; 30, 9, 18; 32, 47; მსჯ. 2, 7; ფს. 90, 16; ეფს. 6, 3 და ა.შ.
39. შედარებ.: „რამეთუ ჩემდა ცხორებაჲ ქრისტე არს, და სიკუდილი – შესაძინელ“ (ფილ. 1, 21)
40. www.martmadidebloba.ge
41. დაუჯდომელი მიცვალებულთა სულთა შეწვევისათვის, კონდაკი 11.
42. ადამიანის ასაკი - პერიოდის ხანგრძლივობაა მისი დაბადებიდან კონკრეტული დროის მომენტი-სათვის.
43. ექვივალენტობა თანამედროვე წლის დღე-ღამის ზომასთან, უნდა ვივარაუდოთ სამყაროს გაჩენის მე-4 დღიდან. ცნობისთვის, ღვთის მიერ **დღე** დაერქვა სინათლის ბატონობის პერიოდს (ხანგრძლივობას), ხოლო სიბნელის - **ღამე** და ეს მოხდა ადამიანის, ცხოველთა სამყაროს და, საერთოდ, ყოველი ქმნილების სიცოცხლისუნარიანობის არსებობის უზრუნველყოფის და შენარჩუნების მიზნით. შედარ.: ფს. 73, 16; 103, 20-24; იერ. 33, 20-25 და სხვ. ამ საკითხზე არსებობს მრავალი მოსაზრება ბიბლიის განმარტებელთა შორისაც, თუმცა სრულად ვეთანხმები მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა აზრებს და ვრცელი ინფორმაციისთვის იხილეთ: გუნია ბ., იულიუსის კალენდარი, თბ., 1998 წ. წმ. სერაფიმე როუზი, წიგნი შესაქმისა (სამყაროს შექმნა და ძველი აღთქმის პირველი ადამიანები), თბ. 2004 წ.; www.lopbible.narod.ru, www.creatio.orthodoxy.ru და სხვ.
44. ნებისმიერი შესაძლო სადაო მოსაზრება დროის, როგორც ზომის დაზუსტებისთვის, თუნდაც მასთან დაკავშირებულ სხვა რაიმეს ფაქტის შესახებ, ამ შემთხვევაში დავის და გაუგებრობის მიზეზი ვერ იქნება, რადგან ნაშრომის მიზანი არაა გაარკვიოს და დააზუსტოს კავშირი დროის ისტორიულ, ფიზიკურ ან ასტრონომიულ შინაართან, რომელიმე პერიოდის, ან ეპოქის მიხედვით. თუმცა შედარებისთვის იხ. დაბ. 6, 3; ეკლ. 3, 2; ფს. 38, 5-6; 88, 46; 89, 4; 9-10; მთ. 13, 1; მრკ. 1, 9 და ა.შ.
45. „რამეთუ ვითარცა ჳორცნი თუნიერ სულისა მკუდარ არიან...“ (იაკ. 2, 26). მსჯელობა ამ საკითხისადმი იხილეთ, ასევე, www.blagobor.by-ze
46. www.omolenko.com
47. www.omolenko.com
48. შედარ.: „რამეთუ მე ცხოველ ვარ, და თქვენცა ცხოველ იყვნეთ“ (ინ. 14, 19)
49. www.martmadidebloba.ge
50. „ყრმაჲ ვიყავ და დაუბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მოხოველ პურისა“ (ფს. 36, 25)

ციცინო ღავითულიანი

გეოგრაფიის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

გლობალური საინფორმაციო სივრცის გეობრაფიული ასპექტები

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მე-20 საუკუნის დასასრულისათვის გლობალიზაციის პროცესების დაჩქარება აიხსნება ამ პერიოდში მომხდარი ნამდვილი სანფორმაციო რევოლუციით, რომელმაც მიგვიყვანა გლობალურ სანფორმაციო ქსელის შექმნამდე. სხვა სიტყვებით, დღეს ხდება გლობალური საინფორმაციო სივრცის ფორმირება. ეს პრინციპულად ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული კატეგორიაა, რომელიც აღნიშნავს საინფორმაციო საზოგადოებისაკენ გადასვლას და კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ახალ ჰორიზონტებს. ასეთი ინფორმაციის მთავარი ამოცანაა – უზრუნველყოს თითოეული ადამიანის მისაწვდომობა დაგროვილი საზოგადოებრივი ცოდნისადმი (საინფორმაციო რესურსებისადმი). შეიძლება ითქვას, რომ დღეს ინფორმაცია თავისთავად გახდა ძვირადღირებული საქონელი, ამასთან „მალფუჭებადი“ და, შესაბამისად, საჭიროებს მუდმივ განახლებას. ზოგიერთი შეფასებით, მსოფლიო ეკონომიკის საინფორმაციო სექტორის მოცულობამ 2000 წელს 4 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ამავდროულად მიმდინარეობს რადიკალური ცვლილებები საინფორმაციო ტექნიკისა და ტექნოლოგიების სტრუქტურებში.

რა თქმა უნდა საინფორმაციო კომუნიკაციების ტრადიციული სახეობები ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ნ.ვ. ალისოვის მონაცემებით მასობრივი აუდიო და ვიდეოინფორმაციის მიმღები ტექნიკური საშუალებების (რადიომიმღებები, ტელევიზორები) და აქტიური ინდივიდუალური კავშირის საშუალებების (ყველა სახეობის სტაციონალური და მობილური ტელეფონები) საერთო რაოდენობამ მსოფლიოში 4 მილიარდ ერთეულს გადააჭარბა და ყოველწლიურად ასობით მილიონი ერთეულით იზრდება. უნდა აღინიშნოს რომ ჩვეულებრივი ტელეფონების საერთო რიცხვი მსოფლიოში 1910 წ. 7 მლნ. შეადგენდა, 1950 წ. 51 მლნ. შეადგინა, 1990 წ. 520 მლნ, ხოლო 2005 წ. კი 1,2 მლრდ. მიადწია. მობილური ტელეფონების საერთო რიცხვმა 3 მლრდ. გადააჭარბა. XX საუკუნის ბოლო 20 წლის განმავლობაში ტელეფონების

საერთო რიცხვი ყოველწლიურად 10%-ით იზრდებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ სიდნეის ზაფხულის ოლიმპიადას თვალს ადევნებდა 3,7 მლრდ ადამიანი (Максаковский В.П.2009).

მიუხედავად ამისა სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ აღინიშნება საფოსტო გზავნილებისა და ტელეგრაფების რიცხვის შემცირება განვითარებულ ქვეყნებში, რადგან ძველი ელექტრონული კავშირი შეცვალა ახალმა სამრეწველო-ტექნიკურმა ბაზამ, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა სახის ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას. ამასთან, გლობალური საინფორმაციო სივრცის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამგზავრებსა და ინტერნეტს.

1990-იან წლებში თანამგზავრული კავშირის მოცულობა სწრაფად იზრდება – ყოველწლიურად 10–15%-ით. ეს აიხსნება თანამგზავრთა გამოყენების აუცილებლობით განსაკუთრებით ძნელად მისაწვდომი რაიონებიდან ინფორმაციის მისაღებად.

XXI საუკუნის დასაწყისში თანამგზავრთა მსოფლიო სისტემა შედგებოდა 100-ზე მეტი მოქმედი თანამგზავრისაგან, რომლებიც ახორციელებდნენ 2000-ზე მეტ რეტრანსლიატორს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში (მათ შორის 500–550 აშშ-ში, 400-მდე დასავლეთ ევროპაში). ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთ რამდენიმე ტონიან რეტრანსლიატორს 80 ათასამდე არხი გააჩნია და შეუძლია ერთდროულად 200 სატელევიზიო პროგრამისა და 1 მლნ. სატელეფონო საუბრის უზრუნველყოფა.

თანამგზავრთა მთელი სისტემა იყოფა 30 ეროვნულ და საერთაშორისო (რეგიონალური და გლობალური) ქვესისტემად. უმსხვილეს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება ყველა სატელეფონო კავშირის 4/5 -ზე მეტს კონტინენტებზე, წარმოადგენს (ITSO) და აერთიანებს 120-მდე ქვეყანას.

გლობალური საინფორმაციო სივრცის ფორმირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საერთაშორისო კომპიუტერული ტელესაკომუნიკაციო სისტემა – ინტერნეტი, რომელსაც აგრეთვე საერთაშორისო ქსელსაც უწოდებენ (World-Wide Web, ანუ შემოკლებით WWW). ინტერნეტის მთავარ იდეას წარმოადგენს – ხალხთა შორის კონტაქტების დამყარება და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება. მისი დახმარებით თითოეულ ადამიანს შეუძლია „შეხედეს“ პლანეტის ნებისმიერ მცხოვრებს, თუნდაც ის მრავალი ათასი კილომეტრით იყოს დაცილებული. კომპიუტერის ეკრანიდან სახლიდან გაუსვლელად მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია. გასაკვირი არაა ის, რომ ჩვენ სულ უფრო ხშირად გვესმის „ინტერნეტ-რეკლუციის“ ცნება. სპეციალისტების აზრით ინტერნეტი მართლაც წარმოადგენს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის ახალ ეკონომიკურ და ტექნიკურ რეკლუციას. ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას იძლევა არა მარტო მოემსახუროს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას, არამედ შექმნას კიდევ.

ინტერნეტის წარმოშობის ისტორია ასეთია – 1968 წელს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ იმისათვის, რომ დაეკავშირებინა სხვადასხვა კომპიუტერი ერთმანეთთან, გადაწყვიტა შეექმნა სპეციალური ქსელი. მუშაობა 5 წელი გრძელდებოდა და შექმნილმა კომპიუტერულმა ქსელმა მიიღო **არპანეტის** სახელწოდება (სპონსორის სახელიდან გამომდინარე). პირველ ეტაპზე მისი მიზანი საკმაოდ მარტივი იყო – შესაძლებლობა მიეცა კავშირი დამყარებინათ და ინფორმაცია გაეცვალათ ერთმანეთში იმ სწავლულ-ინფორმატიკოსებსა და ინჟინრებს, რომლებიც ახორციელებდნენ სამხედრო კონტრაქტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ინფორმაციის ასეთი გაცვლის პროცესში წარმოიშვა ელექტრონული ფოსტა – ინტერნეტის ერთ-ერთი პირველი მომსახურება. შემდეგ აშშ-ის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება არპანეტის ტექნოლოგიების საფუძველზე შექმნა თავისი კომპიუტერული ქსელი. თავდაპირველად ის ემსახურებოდა მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებებს, მოგვიანებით მას შეუერთდა ყველა მსურველი პირველ რიგში ისინი ვინც დაკავშირებული იყვნენ სამეცნიერო და სასწავლო სფეროებთან. 1989 წ-მდე ინტერნეტი არ იყო კომერციული ქსელი, მას იყენებდნენ მხოლოდ სახელმწიფო და აკადემიური დაწესებულებები. 1990 წლების დასაწყისიდან ინტერნეტის გამოყენება დაიწყო საქმიან სფეროებში, მისით დაინტერესდნენ კომერციული სტრუქტურებიც. სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო მისი სწრაფი ზრდა.


დღეისათვის ინტერნეტის ქსელის ძირითადი ფუნქციები სრულიად გამოიკვეთა. მას განეკუთვნება: 1) ელექტრონული ფოსტით უზრუნველყოფა; 2) სხვადასხვა სფეროს ახალი ამბებისა და მონაცემების გამოქვეყნება; 3) დოკუმენტების, ფოტოსურათების, აუდიო და ვიდეომასალების მოძიება და მიწოდება; 4) ადამიანებს შორის კომპიუტერული ურთიერთობის უზრუნველყოფა; 5) ელექტრონული მოგზაურობის უზრუნველყოფა მსოფლიოში; 6) მაღაზიებში კომპიუტერული შესყიდვებისა და ფინანსური ურთიერთობის უზრუნველყოფა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ ინტერნეტის მომხმარებელთა დინამიკა საქართველოში გლობალური საინფორმაციო სივრცის ფონზე, სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე.

XXI საუკუნის დასაწყისი დაიწყო ინტერნეტის ტრიუმფალური განვითარება. ჩრდილო ამერიკის შემდეგ მისი ქსელი სწრაფად გავრცელდა დასავლეთ ევროპაში, იაპონიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, ისრაელსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. რაც შეეხება ასეთი განვითარების რიცხოვრივ მაჩვენებლებს, ძირითადად იყენებენ ორ მთავარ ინდიკატორს: 1) ხოსტ-სერვერების (ანუ „ხოსტების“ – საბაზისო, საკვანძო კომპიუტერები, რომლის საფუძველზეც ერთდება ჩვეულებრივი კომპიუტერები)

რიცხვს; 2) ინტერნეტის უშუალო მომხმარებელთა რაოდენობას. ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი, რომლებიც შეუერთდნენ ქსელს თავისი პერსონალური კომპიუტერებით, 5 მლნ ადამიანიდან (1991 წ) 60 მლნ-მდე (1996 წ) გაიზარდა, 2003 წ. მათი რიცხვი იყო 730 მლნ, ხოლო 2008 წ. 1,1 მლრდ-ს გადააჭარბა, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული ნაკადი ინტერნეტში პრაქტიკულად ყოველ 100 დღეში ორმაგდება (იხ. გრაფიკი №1).

გრაფიკი №1




წყარო: (Максаковский В.П.2009)

თუ განვიხილავთ რეგიონებს, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის მიხედვით 2008 წლის მონაცემები ასეთია: აზია (420 მლნ), ევროპა (315 მლნ), ჩრდილო ამერიკა (233 მლნ), ლათინური ამერიკა (105 მლნ), აფრიკა (33 მლნ), ავსტრალია და ოკეანეთი (18 მლნ). ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვით პირველი ადგილი აშშ-ს უჭირავს, სადაც ის მოსახლეობის 70%-ს მოიცავს. იაპონიაში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში ის 60–70%-ს შეადგენს. განვითარებადი ქვეყნებიდან ჩინეთის გარდა გამოირჩევა ინდოეთი (40მლნ) და ბრაზილია (32 მლნ). მაგრამ მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის სიხშირის დონე აქ გაცილებით დაბალია. მაგ. ჩინეთში ის შეადგენს 10%-ს, ინდოეთში მხოლოდ 4%-ს. მაგრამ არსებობს ისეთი განვითარებადი ქვეყნებიც, სადაც ეს დონე მაღალია, მაგ. ბარბადოსი–60%, მალაიზია–48%.

ასევე განსხვავებულია მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის სიხშირე. შედარებით მაღალია ის ჩრდილო ამერიკაში (70%), მას მოსდევს ავსტრალია და ოკეანეთი (53%), ევროპა (39%), ლათინური ამერიკა (20%). აზიაში იგივე მონაცემი შეადგენს 10 %-ს, აფრიკაში 3,5% (საშუალოდ მსოფლიოში –17%) (იხ.გრაფიკი №2)

გრაფიკი №2

მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის სიხშირე გეოგრაფიულ რეგიონებში



წყარო: (Максаковский В.П.2009)


ინტერნეტის ენებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია, ინგლისური (30%), ჩინური (15%), ესპანური, იაპონური, გერმანული, რომლებსაც მოხდევს ფრანგული, პორტუგალიური, კორეული, იტალიური, არაბული.

პირველი ქართული (ქართულ ენაზე შესრულებული) ვებ გვერდი ანუ ვებ საიტი 1996 წ. შექმნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელმა ევროპაში რენო სირაძემ (ფინეთი) - ეს იყო „დედაენა“. პირველი ქართული ვებ საიტი, რომელიც უნიკოდ კოდირებაზე იყო დაფუძნებული (ზოგადად მეორე) იყო „შავლეგო“, იგი შეიქმნა ბესარიონ გუგუშვილის მიერ 1996 წელს.

